სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 22 აგვისტო 2006 №193 (2815) ფასი 50 თეთრი

ზიზღით ზიზღზე

სტივენ ჯერარდის გულწრფელი ავტობიოგრაფია

5

მოულოდნელი ამერიკელი

ასტონ ვილას ახალი პატრონი საკუთარ თავში მილიარდერს ებრძვის

6

მაღალი ხალხის ამბები

ჩამავალი ბურთი ამომავალი მზის ქვეყანაში

13

2 სექტემბერი: ერი და ბერი საფრანგეთის ელის

დიდი მუშაობა, დიდი მიშაობა

მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონები ცხრა დღეში ჩამოდიან

2005 წლის 30 მარტი: მიხეილ საკაშვილმა მიშელ პლატინის ერთხელ უკვე უმასპინძლა

როდის გაგორდება ბურთი იტალიაში?

ქვეყნის ცოდვები რა ჩემი ტვირთია?!

იტალიურ ფეხბურთს შესაძლოა მორიგი გამოცდის ჩაბარება მოუხდეს — გუშინ „იუვენტუსმა“ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვერდიქტს სამოქალაქო სასამართლოში გაასაჩივრებს. და რატომ არის ეს გამოცდა? მიმომხილველები შიშობენ, რომ სამოქალაქო სასამართლომ შესაძლოა სერია A-სა და სერია B-ს ჩემპიონატების ისედაც ცოტა დაგვიანებული სტარტი კიდევ უფრო გადაწიოს.

შეგახსენებთ, რომ ტურინის გუნდი სპორტულმა თემიდამ სერია B-ში დააქვეითა და ახალი სეზონის მინუს 17 ქულით დაწყებაც მიუსაჯა, მაგრამ „ბებერი ქალბატონი“ ამას არ ეგუება.

„ვერდიქტი უსამართლო და ზედმეტად მკაცრი გახლდათ — წერია კლუბის ოფიციალურ განცხადებაში — მისი მიხედვით გამოდის, რომ „იუვენტუსი“ ერთადერთია, ვინც იტალიურ ფეხბურთში მიმდინარე ამბებზე პასუხისმგებლობა უნდა იკისროს“.

ტურინული კლუბის ხელმძღვანელობა ცდილობს დაეყრდნოს იმ ფაქტს, რომ კალჩოპოლის სკანდალის დაწყებისთანავე გაუშვა სამსახურიდან ეჭვმიტანილი დირექტორები ლუჩანო მოჯი და ანტონიო ჯირაუდო, რითაც კლუბი და დამნაშავენი ერთმანეთისგან გამიჯნა.

„სერია B-ში გაგდება ხელყოფს ჩვენს სახელსა და იმიჯს. ერთი საუკუნის განმავლობაში „იუვემ“ იტალიური ფეხბურთის ისტორიის წიგნში უამრავი დიადი ფურცელი ჩაწერა, ხოლო ამის დღევანდელი ნათელი მაგალითი მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილე იუვენტუსელები იყვნენ, რომელთაც ქვეყანას მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოუტანეს...“

ბუნებრივია, განცხადებაში ლაპარაკია იმ მატერიალურ ზარალზეც, რომელიც კლუბს ტრიბუნალმა მიაყენა, ასე რომ, „ბებერი ქალბატონი“ სუფთა სინდისით აპირებს ლაციოს რეგიონალურ, ანუ სხვა სიტყვებით, სამოქალაქო სასამართლოში შებიჯებას.

რა მოჰყვება ამას?

წესით, იტალიაში ბურთი 9-10 სექტემბერს უნდა გაგორდეს.

სვეგამწარებული „იუვეს“ პრეზიდენტი ჯოვანი კობოლი ჯილი

იუვენტუსმა ისტორიის წიგნი და მსოფლიო თასი აიფარა

პატარა შოუ, დიდი პლატინი და პრეზიდენტი

ახლოვდება 2 სექტემბერი — განახლებულ ეროვნულ სტადიონზე საქართველოს ნაკრები ევრო 2008-ის შესარჩევში საფრანგეთს დაუხვდება. ამ მატჩისადმი ინტერესი ძალიან დიდია და, თუ როგორ მიდის მოსამზადებელი სამუშაოები, ამაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ გოგი ძავთარაძეს ვესაუბრეთ...

გიორგი ძავთარაძე

— 2 სექტემბრისთვის ყველაფერი ესწრება, ეროვნულ სტადიონზე ძირითადი სარეკონსტრუქციო სამუშაოები მთავრდება, ხოლო პატარ-პატარა დეტალების დახვეწა მერეც შეიძლება. განახლებული ეროვნული სტადიონის ტევადობა დაახლოებით 55 000 იქნება. უკვე დაიწყო სტადიონზე ეკრანის დამონტაჟება, სამუშაოებს ჩინელი სპეციალისტები უძღვებიან.

— ამ მატჩზე მოწვეული საპატიო სტუმრები ჩამოვლენ 2 სექტემბერს?

— მიშელ პლატინი ჩამოვა. რაც შეეხება ზინედინ ზიდანს, ის ოფიციალურად დავპატიჟეთ, მაგრამ პასუხი ჯერ არ მიგვიღია. ახლა პირადი კონტაქტებითაც ვცდილობთ ზიდანთან დაკავშირებას და მის მოწვევას.

— საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აპირებს მატჩზე დასწრებას?

— წინასწარი ინფორმაციით, ჩვენი პრეზიდენტი ამ მატჩზე დასწრებას აპირებს.

— როდის დაიწყება საქართველოს ნაკრებს საამმატჩო შეკრება და სად დაბინავდება?

— შეკრება 27 აგვისტოს დაიწყება, ნაკრები თავის ბაზაზე იცხოვრებს, ეროვნულ სტადიონზე კი ორჯერ ივარჯიშებს. საფრანგეთის ნაკრები, სავარაუდოდ, 31 აგვისტოს ჩამოვა თბილისში და „თბილისი მარიოტში" დაბინავდება.

— კლაუს ტოპმიოლერი როდის ჩამოვა თბილისში?

— კვირის ბოლოს, ალბათ უქმეებზე.

— ბოლო ინფორმაციით, ტრავმირებული კახა კალაძის და ზურაბ ხიზანიშვილის მდგომარეობა როგორია?

— არის შანსი, რომ მათ საფრანგეთთან ითამაშონ. საამისოდ უკეთესი შანსი ხიზანიშვილს აქვს.

— 2 სექტემბრის მატჩზე ბილეთების გაყიდვა როდის დაიწყება?

— 26-27 აგვისტოს, დავბეჭდავთ პროგრამასაც. ბილეთების უდიდესი ნაწილი 7, 15 და 20-ლარიანია, 50 და 80-ლარიანი ბილეთები კი ცოტა იქნება.

— ჩვენი ნაკრების შემადგენლობა როდის გამოცხადდება?

— ორ-სამ დღეში.

— განახლებული „ეროვნულის" გახსნაზე 2 სექტემბერს შოუ არ იგეგმება?

— გრანდიოზული წარმოდგენა არ იქნება, პატარა შოუ კი დაგეგმილი გვაქვს, ისეთი, რომელსაც ჩვენი ფედერაციის რესურსები გასწვდება.

დავით თავართქილაძე



იან ვეგერეეფი

უეფამ ფრანგებთან ჰოლანდია გამოუშვა

ევრო 2008-ის შესარჩევი ეტაპი, 2 სექტემბერი და საქართველო — საფრანგეთი. მთელი საქართველო ამ მატჩის მოლოდინშია და აგერ, უკვე მსაჯთა ვინაობაც გაირკვა — გუშინ უეფამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას აცნობა, რომ 2-ში განახლებული „ეროვნულის" განახლებულ მოედანზე გუნდებს ჰოლანდიელი მსაჯები გამოუძღვებიან. არბიტრი იან ვეგერეეფი იქნება, ასისტენტები — ვიინინდ რუტგერსი და იანტინუს მეინტსი, სათადარიგო კი ბიორნ კუიპერსი გახლავთ.

გაირკვა 6 სექტემბრის უკრაინა — საქართველოს მატჩის მსაჯებიც. ისინი ჩეხები არიან: იაროსლავ იარა (არბიტრი); პატრიკ ფილიპეკი და ანტონინ კორდულა (ასისტენტები); მიხალ პატაკი (მეოთხე მსაჯი).

ლუკა თალაკვაძე

ქართველების ირანული ამბები

გილაური დარჩა, მუჯირი თეირანში მიდის

27 წლის აქვსენტი გილაურმა ირანის ჩემპიონ თეირანის „ესტეგლალთან" კონტრაქტი ორი წლით გააგრძელა. გილაურს სხვა სპარსული გუნდებიც ეპატიჟებოდნენ, მაგრამ „ესტეგლალი" ვერც ერთმა გადაწონა.

რაც შეეხება ირანში მყოფ კიდევ ერთ ჩვენებურს — სად გააგრძელებს თამაშს ჯაბა მუჯირი, ჯერ გაურკვეველია. ისპაჰანის „სეპაჰანს" მუჯირთან კონტრაქტის გაგრძელება კი უნდოდა, მაგრამ ჯაბამ ტრავმა მიიღო, მუხლის მყესი დაუზიანდა და „სეპაჰანიც" მასთან ხელშეკრულების გახანგრძლივებაზე ფეხს ითრევს. მუჯირი ისპაჰანიდან თეირანში უნდა წავიდეს და იქაურ ექიმებს გაესინჯოს — „სეპაჰანი" სწორედ მათ დასკვნას ელის.

რამდენიმე დღეში კი ირანში სატრანსფერო ფანჯარა იხურება და არაა გამორიცხული, მომდევნო სატრანსფერო ფანჯრამდე მუჯირი საქართველოში დაბრუნდეს და ჩვენს ევრონულ ჩემპიონატში ითამაშოს.

დავით თავართქილაძე

დადგინდა საქართველოს თასის პირველი ეტაპის საპასუხო მატჩების თარიღები.

23 აგვისტო: სამტრედია — ჩიხურა, მეშახტე — ტორპედო, გურია — ზესტაფონი, მერცხალი — ბორჯომი, მგლები — ბათუმი, მეშაქრე — დილა, ლიახვი — მერანი, ზოოვეტი — სპარტაკი, ნორჩი დინამოელი — ლოკომოტივი; 25 აგვისტო: მესხეთი — გაგრა; 31 აგვისტო: ამირანი — კახეთი; 1 სექტემბერი: მაღაროელი — ოლიმპი.

ინგლისი
ლიგის თასი
აკრინგტონი 1:0 ნოტინგემი

გერმანია
II ბუნდესლიგა. II ტური
კარლსრუე 2:0 კაიზერსლაუტერნი

უკედეთი
ალსვენსკა. XVI ტური
გეფლე 1:1 აიკ
იორგრიტე 1:0 გაის
იოსტერსი 1:1 გიოტებორგი

ფინეთი
ვეიკაუსლიგა. XVII ტური
ტურკუ 1:2 კუოპიო

ჰოლანდია
II დივიზიონი. III ტური
გრაადფსხაპი 3:1 ჰაარლემი
ემენი 1:1 ოსი
დენ ბოსხი 1:1 ვეენდამი
დორდრეხტი 1:0 მაასტრიხტი
ზვოლე 0:1 ალმერე
ფორტუნა 2:1 ეინდჰოვენი
ჰელმონდი 0:0 კამბური
როზენდალი 1:1 ვოლენდამი
ტელსტარი 3:2 აპელდორნი
ვენლო 2:1 იგლსი

ჩეხეთი
გამბრინუსლიგა
IV ტური
სლოვაცკო 1:2 ბანიკი

შვეიცარია
სუპერლიგა. VI ტური
თუნი 0:2 სენტ გალენი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის განცხადება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გთავაზობთ ევრო 2008-ის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების საშინაო მატჩებზე დასასწრები აბონემენტების დაჯავშნას!

ჩვენი გუნდი თბილისში უმასპინძლებს მსოფლიოს ჩემპიონ იტალიას, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ საფრანგეთს, მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალისტ უკრაინას, შოტლანდიას, ლიტვას და ფარერის კუნძულების ნაკრებს.

ხსენებული ექვსი ოფიციალური თამაშის გარდა, აბონემენტის მფლობელი საქართველოს ნაკრების ერთ ამხანაგურ თამაშსაც დაესწრება, ჯამში კი, ჩვენი გუნდის შვიდ შეხვედრას იხილავს!

ევრო 2008-ის შესარჩევ ციკლში ხუთი კატეგორიის აბონემენტი გაიყიდება:

პირველი კატეგორია — 310 ლარი
მეორე კატეგორია — 200 ლარი
მესამე კატეგორია — 115 ლარი
მეოთხე კატეგორია — 63 ლარი
მეხუთე კატეგორია — 32 ლარი

აბონემენტის დაჯავშნის მსურველები 16 აგვისტოდან დაგვიკავშირდით ყოველდღე (გარდა შაბათ-კვირისა) 12 საათიდან 17 საათამდე შემდეგ ტელეფონზე: 877 990 970. საკონტაქტო პირი — ირაკლი ნაკაიძე.

სფფ-ის მარკეტინგის სამსახური

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ ჩვენს კოლეგას, გაზეთ „სპორტის" ჟურნალისტს ირაკლი თავაძეს
დედის
გარდაცვალების გამო

საქართველოს ჩემპიონატი
პირველი ლიგა
I წრე. 2 ტური

მეშაძრე 2:1 სპარტაკი
მეშახტე 1:1 ამერი 2
სამტრედია 3:0 რაჭა
მერცხალი 0:1 ნ. დინამოელი
გურია 0:0 მგლები
გაგრა 0:1 ვიტ ჯორჯია 2
დინამო 2 0:0 მესხეთი
ოლიმპი 1:1 ჩიხურა 2
მაღაროელი 2:2 ზესტაფონი 2

მეშაქრე	2	2	0	0	3:1	6
სამტრედია	2	1	1	0	5:2	4
დინამო 2	2	1	1	0	2:1	4
მესხეთი	2	1	1	0	2:1	4
მგლები	2	1	1	0	1:0	4
სპარტაკი	2	1	0	1	4:2	3
მერცხალი	2	1	0	1	2:1	3
ნ. დინამოელი	2	1	0	1	2:2	3
ვიტ ჯორჯია 2	2	1	0	1	1:1	3
მეშახტე	2	0	2	0	4:4	2
ზესტაფონი 2	2	0	2	0	4:4	2
ამერი 2	2	0	2	0	1:1	2
ოლიმპი	2	0	2	0	1:1	2
მაღაროელი	2	0	1	1	3:4	1
ჩიხურა 2	2	0	1	1	1:2	1
რაჭა	2	0	1	1	3:6	1
გურია	2	0	1	1	0:3	1
გაგრა	2	0	0	2	0:3	0

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი
ჩვენი მეტოქეები

2 სექტემბერი სანაკრებო დღეა და საქართველო — საფრანგეთის გარდა, ამ დღეს ერთი საინტერესო მატჩიც გაიმართება ჩვენს ჯგუფში: იტალია ლიტვას მასპინძლობს. მართალია, ახლა ჩვენი მთავარი თემა საფრანგეთია, თუმც ალბათ უინტერესო არ უნდა იყოს ლიტველთა თავკაც ალგიმანტას ლიუბინსკასის მცირე ინტერვიუ, სადაც ის საქართველოს ნაკრებზეც ლაპარაკობს...

არ დაივიწყოთ საქართველო
ლიუბინსკასმა ლიტვას ლატვია შეახსენა

— რას იტყვით თქვენს თანაჯგუფელებზე?

— ძალიან რთული მეტოქეები გვყავს. იტალია და საფრანგეთი მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალისტები არიან; უკრაინა მეოთხედფინალში გავიდა, ანუ მსოფლიოს რვა საუკეთესოს შორის მოხვდა; შოტლანდია ძალიან მოუხელთებელი გუნდია, თანაც ბრიტანელებთან თამაში ყოველთვის ძნელია; არ დაივიწყოთ ქართველებიც — მათ ერთი სული აქვთ, ძველი წარუმატებლობები დაივიწყონ და წინ წაიწიონ, საამისოდ კი გერმანელი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერიც მიიწვიეს. ვფიქრობ, ფარერებსაც შეუძლია, ვიღაც-ვიღაცებს ქულები დააკარგვინოს.

— თქვენი მიზანი რა არის?

— პირველი ან მეორე ადგილი.

— და თქვენ ფიქრობთ, რომ ეს რეალურია?

— გასაგებია, რომ იტალია და საფრანგეთი ფავორიტები არიან, მაგრამ ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ. ჩვენმა მეზობელმა ლატვიამ თუ შეძლო ევროპის ჩემპიონატზე თამაში, ჩვენ რატომ ვერ უნდა შევძლოთ?!

— უკრაინას არ თვლით ფავორიტად?

— გასროლა ყველას შეუძლია. უკრაინაც, შოტლანდიაც, საქართველოც და ჩვენც ჯგუფიდან გასასვლელად ვიბრძოლებთ.

— უკვე 2 სექტემბერს მსოფლიოს ჩემპიონ იტალიას ხვდებით...

— და ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ღირსეულად ვითამაშებთ.

ტოტის ცისფერი ოკეი

ფრანჩესკო ტოტი თანახმაა, იტალიის ნაკრებში დაბრუნდეს — ეს ცნობა გუშინ იტალიურმა ვებგვერდებმა გაავრცელეს.

შეგახსენებთ: მსოფლიოს ჩემპიონატის მერე იტალიელთა ერთ-ერთმა ლიდერმა სანაკრებო კარიერის დასრულება გადაწყვიტა, თუმცა „სკუადრა აძურას“ ახალი მწვრთნელი რობერტო დონადონი ჯიუტად ცდილობდა მის გადარწმუნებას. როგორც ჩანს, დონადონის ეს გამოუვიდა...

„მართალია. მზად ვარ, ნაკრებში დავბრუნდე, მაგრამ ჯერ საბოლოოდ უნდა გამოვჯანმრთელდე და ფორმა აღვიდგინო“ — უთქვამს ტოტის დონადონისთან სატელეფონო საუბრისას.

ბახა შალამბერიძე

ქართველები უცხოეთში
შოთამ გოლები პასებში გაცვალა

ფრანგებთან მატჩი ახლოვდება და, ბუნებრივია, ქართველი ლეგიონერების ამბები უფრო და უფრო გვაინტერესებს. საბედნიეროდ, ჩვენი „უცხოელების“ უმეტესობა მართლაც კარგ ფორმაშია...

ცოტა უცნაურია: „ალკმაარმა“ 8:1 მოუგო „ბრედას“ და **შოთა არველაძემ** უგოლოდ დატოვა მოედანი. შოთამ ფარერები ვერ გაიმეორა, თუმცა ჰეთ თრიქი ასისტენტობაში გაჩარხა — სამი საგოლე პასი გააკეთა. ჰოლანდიაშივე **გოგა გახოკიძემ** ბოლო 25 წუთი ითამაშა „ტვენტეში“, მისი გუნდი კი სტუმრად „ჰერაკლესთან“ 0:3 შერცხვა.

რუსულ-პრემიერლიგური ტური გამოტოვეს **დავით მუჯირმა** (ცნობილი მიზეზების გამო) და **დისკვალიფიცირებულმა მალხაზ ასათიანმა**. სამაგიეროდ, ყაზანის „რუბინმა“ 1:2 რომ წააგო „როსტოვთან“, სათათრეთის გუნდში ოთხმა ჩვენიანმა ითამაშა: **ნუკრი რევიშვილმა** და **მიხეილ აშვეთიამ** 90-90 წუთი, **გიორგი ქინქლაძემ** — 73, **ლაშა სალუქვაძემ** კი 17 წუთი დაჰყო მოედანზე. მათ ამ მატჩში დიდად არ გამოუჩენიათ თავი, ეგაა, რუსულმა მედიამ რევიშვილი მაინც შეაქო, გოლებში ბრალი არ მიუძღოდა, რამდენიმე რთული ბურთი აიღო და პენალტიც კინაღამ მოიგერიაო.

ერთ დროს ლიდერი ნალჩიკის „სპარტაკი“ კი ბოლოხანს ჭაკობს. **გოგიტა გოგუას** გუნდი სტუმრად უგებდა ცეესკას, მაგრამ 1:2 წააგო — ქართველი ნახევარმცველი ერთერთი საუკეთესო იყო ყაბარდოელებში.

უკრაინაში კი იგოლავეს ქართველებმა და გამორჩეული იყო „კრივბას“ — „ჩერნომორეცის“ თამაში, სადაც აქეთ ლადო ბურდულმა და **ვასილ გიგიაძემ**, იქით კი **ილია კანდელაკმა** და **კახა მჟავანაძემ** იბურთავეს 90-90 წუთი. გუნდები 2:2-ზე გაიყარნენ და ოდესელთაგან კანდელაკი საუკეთესო იყო. „კრივბასის“ ორივე გოლი კი ქართველებმა გაჩარხეს: ბურდულმა გიგიაძის პასით გახსნა ანგარიში, ბოლო წუთებზე კი ვასომ თავისივე მონადირებული პენალტი აქცია გოლად. ჰო, „ჩერნომორეცის“ მესამე ქართველი, **გიორგი შაშიაშვილი** სათადარიგო იყო.

გიორგი დემეტრაძის დონეცკის „მეტალურგმა“ შინ ქულები დააკარგვინა მრისხანე „შახტარს“, „დემემ“ 86 წუთი იბურთავა და მაგრადაც — მეშახტეებს ყველაზე ხშირად ის აწუხებდა...

კიევის „არსენალმა“ კი ზაპოროჟიეს „მეტალურგს“ 1:0 რომ სძლია, **ჯაბა კანკავას** დამსახურებაა. კიეველთა საყრდენმა ნახევარმცველმა 20 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით შეაგდო. აქტიური იყო მეორე ქართველი „მეთოფე“ **ლაშა ჯაკობიაც**. ზაპოროჟიელთაგან კი **დავით კვირკველიამ** ითამაშა სრულად.

90 წუთი ჩაათამაშა **კახა ალადაშვილმაც** — მისმა „დნიპრომ“ სტუმრად „ვორსკლასთან“ 0:0 ითამაშა.

რა ხდება გერმანიაში? ლევან კობიაშვილმა მარცხენა მცველად ითამაშა სტუმრად „ალემანიასთან“, სადაც „შალკემ“ ათი კაცით 1:0 მოიგო. „ფრაიბურგმა“ კი „ესენთან“ 0:2 დათმო, ახალგამოჯანმრთელებული **ოთარ ხიზანეიშვილი** სათადარიგო იყო, ხოლო **ალექსანდრე იაშვილი** შესვენების შემდეგ ჩაერთო თამაშში.

ილია ნანოგაშვილი

ლევ ფარცხალაძემ ფეხბურთს გაცილება
ქართველ-უკრაინელი მილიონერი უკრაინელ ქართველებს უმიზნებს

უკრაინაში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენი და პოლიტიკოსი ლევ ფარცხალაძე კიევის „არსენალის“ შეძენით დაინტერესდა — თუ მას პირობები მოეწონა, მზადაა, აქციების 80 პროცენტი იყიდოს.

სხვადასხვა რეიტინგსიების მიხედვით, ფარცხალაძე უკრაინის ყველაზე მდიდარ ადამიანთა ოცეულში შედის და დიდი ავტორიტეტით სარგებლობს.

საინტერესოა, რომ თუ 35 წლის ფარცხალაძე „არსენალს“ იყიდის, გუნდში ორი ქართველი ფეხბურთელი ეყოლება — ჯაბა კანკავა და ლაშა ჯაკობია.

ბახა შალამბერიძე

ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

დღეს, 22 აგვისტოს, 18.30 საათზე, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში გაიმართება ფეხბურთის კლუბ ამერის პრესკონფერენცია. გაიცემა „ამერი“ — „ჰერტას“ მატჩის აკრედიტაციებიც

შეიძინეთ „ამერი“ — „ჰერტას“ მატჩის ბილეთები „კროკოს“ ყველა თბილისურ ბიუროში, „ამერის“ სტადიონის ადმინისტრაციის შენობაში და მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის სალაროებში. ბილეთების ფასი 1, 3, 5 და 10 ლარია. აგრეთვე იყიდება „ამერის“ ყოველწლიური სეზონისწინა და საგანგებო სათასო ცნობარები და „ჰერტასთან“ მატჩის პროგრამა

საინტერესო ცნობა: 24 აგვისტოს „ამერი“ — „ჰერტას“ საუფასთასო მატჩს ტელეკომპანია „ევროსპორტი“ პირდაპირ ეთერში გადასცემს

საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
I წრე. 3 ტურიგულისთვის

როდის ვნახოთ პრეზიდენტი?

ამერმა დინამოს ორი გოლით და ორი ფაქტორით მოუგო

თბილისის „ამერი“ უმაღლეს ლიგაში მეორე სეზონს თამაშობს, ხოლო ცხრილის მწვერვალზე პირველად აღმოჩნდა. ერთიანობა და სტაბილურობა — ვინც „ამერს“ დაკვირვებული თვალით უყურებს, არ უნდა შეგვეკამათოს იმაში, რომ გუნდის ბოლოდროინდელ წარმატებებს ეს ორი ფაქტორი მნიშვნელოვნად განაპირობებს. „ამერს“ აქვს თითქმის ყველაფერი, რაც უნდა ჰქონდეს მზარდ კლუბს, მალე კი გუნდი საკუთარ ბაზაზეც დაბინავდება და ეს „თითქმის“ მისთვის აღარ იარსებებს.

თავისი ბაზა აქვს „დინამო თბილისს“, მაგრამ არ აქვს ერთიანობა და სტაბილურობა. განა „დინამოს“ ფეხბურთელებს ახსოვთ, ბოლოს როდის ეწვია მათ კლუბის პრეზიდენტი ბადრი პატარკაციშვილი? განა „დინამოს“ ყველა ფეხბურთელს უნახავს ცოცხლად თავისი პრეზიდენტი? განა კლუბის პრეზიდენტი ამხნევებს თავის ფეხბურთელებს საკვანძო მატჩების წინ?

რაც შეეხება სტაბილურობას: „დინამოს“ 2001 წლიდან დღემდე ჰყავდა სამი მმართველი დირექტორი, ექვსი მთავარი მწვრთნელი და ახლაც — გუნდს ახალი სეზონისთვის მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი ამზადებდა და, რაც სეზონი დაიწყო, მას მერეც მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი ხელმძღვანელობს.

ერთი სიტყვით, განა აღარ არის დრო, პატარკაციშვილი ფეხბურთში მოსაქმე ჟურნალისტებს შეგვხვდეს?

კითხვები კიდევ უხვადაა, მაგრამ, რაც „დინამომ“ გლდანში ითამაშა, ეს... ტურის მთავარ მატჩში „ამერმა“ მოსალოდნელზე იოლად დაამარცხა სახელიანი მეტოქე და სატურნირო ცხრილსაც თავში მოექცა.

„ამერი“ — „დინამო“ 2:0. რატი წინამძღვრიშვილი თავის სუპერგოლს აღნიშნავს

ბადრი ჯეიმლაძის ფოტო

უხეიროდ ითამაშა „ზესტაფონმა“ შინ „ოლიმპთან“ და სტადიონზე მისული ხუთი ათასამდე გულშემატკივარი გააწბილა. ზესტაფონელთაგან საუკეთესო საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარე გრიგოლ ჭანტურია გახლდათ და რომ არა ის, რუსთავის „ოლიმპს“ იმერეთიდან სამი ქულა უნდა წაეღო. კარგია, რომ „ოლიმპის“ სახით საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს ნორმალური გუნდი შეემატა, ხოლო რა უნარისაა მისი 30 წლის მწვრთნელი გიორგი კიკნაძე, რამდენიმე ტურში უფრო კარგად გამოჩნდება.

როგორც მოსალოდნელი იყო, თელავში „კახეთთან“ გაიმარჯვა „ვიტ ჯორჯიამ“, თუმცა ვიტელები ალბათ კვლავაც დაფიქრდებიან იმაზე, რომ თუ მისმა ფორვარდებმა შედეგიანობას არ უმატეს, გუნდს ძალიან გაუჭირდება ტიტულისთვის ბრძოლა — „კახეთს“ ორი გოლი მცველმა დავით ლომაიამ გაუტანა, ერთიც შუახზელმა გიორგი ფეიქრიშვილმა. „კახეთი“ კი ერთადერთი გუნდია, სამი ტურის შემდეგ ქულაც რომ ვერ მოინაგრა.

პირველი გამარჯვება მოიპოვა ჩემპიონმა — ბოლნისის გარემონტებული და იერშეცვლილი სტადიონის გახსნა „სიონმა“ რიხით აღნიშნა, დუნე პირველ ტაიმს ბევრად უკეთესი მეორე 45 წუთი მიაყოლა და 2:0 მოიგო. ხვიჩა ქასრაშვილის „ჩიხურას“ კი სამ თამაშში ერთი გოლიც ვერ გაუტანია, გუნდის სარქველები თითქოს დახურულია...

ძალიან პრინციპული და მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო ქუთაისის „ტორპედომ“. ბათუმელები მსაჯობით იყვნენ უკმაყოფილონი, არბიტრმა გიორგი ვადაჭკორიამ ბოლო წუთზე არარსებული ჯარიმა დანიშნაო, საიდანაც გაიტანეს კიდეც რიონისპირელებმა გადამწყვეტი გოლი.

ბურთს გავუფრთხილდეთ, არ დავკარგოთ — ასეთნაირად თამაში სცადა „ლოკომოტივმა“ „მერანთან“ და გაიმარჯვა. გადამწყვეტი სიტყვა გამოცდილმა ფეხბურთელებმა თქვეს — ორი 11-მეტრიანის გამტანმა ვლადიმერ გოჩაშვილმა და გიორგი ალავერდაშვილისთვის საგოლე პასის მიმწოდებელმა ნიკა გუშარაშვილმა, თუმც „ლოკომოტივში“ რამდენიმე შესამჩნევი ახალგაზრდაც დავლანდეთ და გუნდის პერსპექტივას ცუდი პირი არ უნდა უჩანდეს. „მერანი“ კი მეორე ტაიმში თითქოს სადღაც გაქრა. შესაძლოა, ეს მერანელების არასათანადო ფიზმომზადების ბრალი იყო, ანაც დევიდ კოპერფილდის, რომელმაც გუნდს უჩინმაჩინის ქუდი დაახურა.

მითქმა-მოთქმაა გორის „დილაზე“. ამბობენ, „დილაში“ ის სახსრები გამოჩნდება, რომლითაც უმაღლეს ლიგიდან უფულობის გამო გავარდნილი „ცხინვალი“ უნდა დაფინანსებულიყოო. „დილაში“ უკვე მივიდა რამდენიმე ფეხბურთელი „ცხინვალიდან“, მაგრამ ფული ჯერ არ ჩანს. არის ლაპარაკი იმაზეც, „ცხინვალიდან“ სხვა გუნდებში განათხოვრებული ფეხბურთელებიც „დილაში“ მოიყრიან თავსო. ჯერჯერობით კი „დილას“ ხვედრი ბოლოდან მეორე ადგილი, იმედი და მითების მოსმენაა...

დავით თავართქილაძე

ბადრი ჯეიმლაძის ფოტო

საგიერ ანგულოს და მიგელ ურტადოს დინამოური დებიუტი წარუმატებელი გამოუვიდათ

ამერი	2:0	დინამო				
ტორპედო	2:1	ბათუმი				
დილა	0:3	ბორჯომი				
სიონი	2:0	ჩიხურა				
კახეთი	2:3	ვიტ ჯორჯია				
ზესტაფონი	0:0	ოლიმპი				
ლოკომოტივი	3:1	მერანი				
ამერი	3	3	0	0	5:0	9
ზესტაფონი	3	2	1	0	5:0	7
ვიტ ჯორჯია	3	2	1	0	6:4	7
დინამო	3	2	0	1	9:3	6
ტორპედო	3	1	2	0	2:1	5
ოლიმპი	2	1	1	0	7:0	4
ლოკომოტივი	3	1	1	1	4:4	4
ბორჯომი	3	1	1	1	4:4	4
სიონი	2	1	0	1	4:3	3
მერანი	3	1	0	2	2:6	3
ბათუმი	3	0	1	2	1:3	1
ჩიხურა	3	0	1	2	0:4	1
დილა	3	0	1	2	1:9	1
კახეთი	3	0	0	3	2:11	0

ბომბარდირები

3-დვალი	*დინამო*
გოჩაშვილი	*ლოკომოტივი*
2-იაშვილი	*დინამო*
ჭელიძე	*ზესტაფონი*
სახოკია	*ვიტ ჯორჯია*
სირბილაძე	*ოლიმპი*
დვალიშვილი	*ოლიმპი*
ფეიქრიშვილი	*ვიტ ჯორჯია*
ლომაია	*ვიტ ჯორჯია*
გაგუა	*მერანი*
საჯაია	*ბორჯომი*

სიმბოლური ნაკრები

ვლადიმერ გოჩაშვილი — *ლოკომოტივი*
რატი წინამძღვრიშვილი — *ამერი*
თორნიკე აფციაური — *ოლიმპი*
გიორგი დეკანოსიძე — *ამერი*
არჩილ ალავიძე — *სიონი*
ლაშა ძიბაძე — *ოლიმპი*
დავით გოლცვაძე — *ამერი*
თენგიზ ჩიკვილაძე — *ამერი*
პოიოვო ფრიდლინი — *სიონი*
დავით ლომაია — *ვიტ ჯორჯია*
გრიგოლ ჭანტურია — *ზესტაფონი*

მომდევნო ტური

27 აგვისტო, პირველი

ბორჯომი – მერანი
ოლიმპი – ლოკომოტივი
ვიტ ჯორჯია – ზესტაფონი
ჩიხურა – კახეთი
ბათუმი – სიონი
დინამო – ტორპედო
დილა – ამერი

ხმაური და მძვინვარება

არავითარი ფოლკნერი: ჩვეულებრივი ინგლისური სხვათა ზიზღი

„არასდროს მინახავს „მანჩესტერ იუნაიტედის“ სიძულვილზე ძლიერი სიძულვილი და ყოველთვის გამაოგნებს ის შხამი, რომელიც ამ გუნდის ფანებისგან მოწვეთს“ — აი, ციტატა „ლივერპულის“ კაპიტნის სტივენ ჯერარდის წიგნიდან „ჯერარდი — ჩემი ავტობიოგრაფია“. საინტერესოა, ხომ? მოდი, ვნახოთ, კიდევ რა წერია ინგლისის ეროვნული გუნდის ვიცე-კაპიტნის მოგონებებში, რომელსაც საკვირაო გაზეთი **News Of The World** აქვეყნებს





ჰუიტონში გაზრდილ ჯერარდს ბავშვობიდან ასწავლიდნენ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ზიზღს. ეს იქაურთა ცხოვრების წესი გახლდათ. ზიზღი უნდა გავრცელებულიყო ყველასა და ყველაფერზე, რაც „ოლდ ტრეფორდთან“ იქნებოდა დაკავშირებული — ფანებზე, ფეხბურთელებზე, მწვრთნელზე, ფორმაზე, მასაჟისტზე, ემბლემაზე...

— „90 წუთის განმავლობაში „იუნაიტედის“ სიკვდილი მინდოდა — იგონებს ჯერარდი და ერთი საინტერესო შედარება მოჰყავს — „ევერტონის“ ფანებიც ვერ მიტანენ, რადგან მათი გუნდის კარში რეგულარულად გამაქვს გოლები და თან სულ იმას ვამბობ, რომ „ევერტონის“ დამარცხება ძალიან მიყვარს. მოკლედ, ამ გუნდის ქომაგებს ვძულვარ, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, როგორც ფეხბურთელს პატივს მცემენ. აი, „ოლდ ტრეფორდზე“ ყველაფერი სხვანაირად არის. იქ მე ყველას ვეზიზღები, რადგან „ლივერპულიდან“ ვარ. ამ სტადიონზე სტუმრობა განუწყვეტელი აგრესიის კურსის გავლას ნიშნავს და 2000 წლის ის ზამთრის დღეც არ ყოფილა გამონაკლისი. „ლივერპულის“ ავტობუსი შებოჭეს და ფანები ხტებოდნენ, რათა ფანჯრებში შემოეხედათ და თავიანთი ზიზღი დაედასტურებინათ. მიღება სრული პროგრამით მიმდინარეობდა: გამარჯვების და სხვა ჟესტებს ცვლიდა ყვირილი **fuck off**, დაგხოცავთ თქვე ...-ო და ლივერპულელო მათხოვრებო. გაისმა ლაწანი და აგურის ნატეხი კინაღამ თავში მომხვდა. აქ ისევ დავიძარით და მერე გასახდელებისკენ გავიქეცით. სტადიონზეც ისეთი ღრიალი იდგა, რომ მოედანზე გასულმა მსაჯის სასტვენის ხმა ვერც კი გავიგე.

„ჩემი ... — გავიფიქრე — დროა, სპექტაკლი მოვაწყო. ან ჩემებურად ვითამაშებ, ან უნდა გავა...“

არადა, ბავშვობაში ერთიხანობა „მანჩესტერ იუნაიტედის“ მაისურა მეცვა ზურგზე ბრაიან რობსონის გვარით.

შეზიზღებული

დიახ, „იუნაიტედი“ მეზიზღებოდა და მისი ფორმის ჩაცმა ჩემთვის საშინელება იყო, მაგრამ რობსონის მაისურა სხვა იყო. ის ჩემი ძმაკაცისა გახლდათ. ერთხელ ვკითხე, რობსონივით თამაშს თუ შევძლებ-მეთქი და ის მაისურა ჩამოვიცვი. თავი საოცრად კარგად ვიგრძენი. ერთი საათი მეცვა და ყველაფერი კარგად გამომდიოდა. ვიბრძოდი, კარგი გოლები გამქონდა, მოკლედ, რობსონის როლში ვიყავი. „იუნაიტედი“ სულ დამავიწყდა და თავში აზრად არ მომდიოდა, რომ ვინმეს ვღალატობდი, მაგრამ, საუბედუროდ, თურმე ფანჯრიდან მამა მიყურებდა.

„აბა, ჩქარა შემოდი სახლში — დამიღრიალა მამამ. თავქუდმოგლეჯილი შევვარდი შინ — რა ჯანდაბას აკეთებ?! „იუნაიტედის“ მაისურით როგორ თამაშობ?!“

„მამ, ეს ხომ რობსონის მაისურაა“ — შევეცადე ამეხსნა, მაგრამ არ გაჭრა.

„მეტი უნდა იფიქრო“ — მითხრა მან.

მამაჩემი შვილს ჯერარდის გვარის წახდენის და ჰუიტონში „იუნაიტედის“ მაისურით გამოჩენის ნებართვას ვერ მისცემდა. რას იფიქრებდნენ მეზობლები?

და გულწრფელად გეტყვით, რომ მეგონა, სახლი მართლა უნდა გამოგვეცვალა. ბავშვი ვიყავი. მწამდა, რომ „იუნაიტედის“ მაისურა კიდევ ერთხელ რომ ჩამეცვა, მამა მცემდა, მაგრამ 14 წლისას ერთხელაც მომიხდა ამის გაკეთება. უკვე 14-ისა გახლდით, როდესაც „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ორ შეხვედრაში გამსინჯა და სამწლიანი კონტრაქტი შემომთავაზა.

ცახცახი

ლეგენდარულ მწვრთნელსაც კი შევხვდი. მაშინ ის უბრალოდ მისტერ ფერგიუსონი იყო და გამოსაცდელ ბავშვებთან ერთად ისადილა. მერე გავიგე, რომ იმავე სადილზე მაიკლ ოუენიც ყოფილა, მაგრამ მე არ გამიცნია. ასე ვიჯექით და ცახცახით ვუსმენდით, რას ამბობდა მწვრთნელი. მას ჩემ შესახებ უკვე გაეგო და კონტრაქტის გაფორმება ძალიან უნდოდა, მაგრამ „იუნაიტედთან“ ხელშეკრულებას ვერაფრით დავდებდი, უბრალოდ, სხვა გუნდების ინტერესმა „ლივერპული“ აიძულა, ჩემთან დაკავშირებით ცოტა გააქტიურებულიყო და ასაკობრივი კონტრაქტი გაეფორმებინა.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ზიზღმა კი ჩემი პირველი სანაკრებო შეკრებაც არია. მაშინ თითქმის 20 წლისა ვიყავი. „ლივერპულის“ ბიჭებმა დანარჩენ გუნდთან წარმადგინეს. ბოლოს „იუნაიტედის“ მაგიდასთან მივედი. აქ ისხდნენ ფილ ნევილი, დევიდ ბექემი, ენდი კოული და პოლ სქოულზი, რომლებიც მიღიმოდნენ.

რა ჯანდაბას ნიშნავდა ეს ყველაფერი? ტანში ჟრუანტელმა დამიარა. დაზაფრული ვიყავი. ეს ხალხი ხომ ჩემი მტერი უნდა ყოფილიყო. ჩვენ ერთმანეთისთვის არ უნდა გაგვეღიმა. ვიდექი და ვფიქრობდი — მე ამათ ვერ ვიტან და ისინი მე ვერ მიტანენ.

მაგრამ მათ არ ვეზიზღებოდი. ისინი ჩინებულად შეხვდნენ ახალ ბიჭს ნაკრებში და მეორე დღეს ამიტომაც გავვარდი მოუთმენლად სავარჯიშო მოედანზე, მინდოდა, მათი რაიმე მზაკვრობა შემემჩნია. მწამდა, რომ გაჩაღდებოდა ჩვეულებრივი „მანჩესტერი“ „ლივერპულის“ წინააღმდეგ, ოღონდ ნეიტრალურ სარბიელზე, მაგრამ არაფერი მსგავსი, ეს ბიჭები ისევ საუცხოოდ მექცეოდნენ.

იმხანად გარი ნევილს ჰქონდა თავი შარში გაყოფილი, „ლივერპულის“ ფანებზე რაღაცის თქმას აბრალებდნენ — სინამდვილეში მისი სიტყვები პრესაში სხვანაირად დაიბეჭდა — ამიტომაც ჩვენი გუნდების ურთიერთობაზე მას ჩამოვუგდე სიტყვა და დავრწმუნდი, რომ გარი ლივერპულელებთან ჩვეულებრივ, კარგ ურთიერთობას ახერხებდა.

მაგრამ მანჩესტერელი კაცისგან ყველაზე დიდი ქება გაზეთში ამოვიკითხე. ეს კაცი სერ ალექს ფერგიუსონი გახლდათ. რომ წავიკითხე, თვალებს არ დავუჯერე. იქ ეწერა: „ჯერარდი ფიზიკურად და ტექნიკურად საუცხოოა, ნამდვილი ძრავაა, თამაშს კარგად კითხულობს და პასებს სწრაფად აწოდებს. მზაფრავს იმაზე ფიქრი, რომ „ლივერპულს“ როი კინის ბადალი კაცი ჰყავს“.

ფერგიუსონის მხრიდან ვინმეს მის კაპიტანთან შედარება წარმოუდგენელი ამბავი გახლდათ.

პაპუნა კედია

მოულოდნელი ამერიკელი

მილიარდებისა და ასტონ ვილას პატრონს არ სურს ჰგავდეს სიტყვას „გაფაქეხი“



„ასტონ ვილას“ პრეზიდენტი დუგ ელისი რომ აღარ არის, „სარბიელის“ მკითხველისთვის ცნობილია. ცნობილია ისიც, რომ ელისის სახელი ბირმინგემელებმა „ვილა პარკზე“ ტრიბუნას დაარქვეს, პატარა ძეგლის დადგმაზე კი თავად თქვა უარი — იყო იდეა, ჩემპიონთა თასზე 1982 წლის ტრიუმფი მაშინდელების ძეგლებით უკვდავეყოთ. „სარბიელის“ მკითხველმა ისიც იცის, რომ „ასტონ ვილას“ ამიერიდან ამერიკელი მილიარდერი რენდი ლერნერი ფლობს, თუმცა თავად ლერნერის სიტყვები გაგონილი არ ჰქონდა.

ევროპელებს ისევ „კლივლენდ პლეინ დილერმა“ უშველა. ეს გაზეთი ლერნერის მშობლიური მხარისაა და თავის კაცზე ხელიც უფრო მიუწვდება

„მე ისე მგონია, რომ ამქვეყნად არავის სჭირდება გაბღენძილი ბიჭი, რომელიც ბრექით დაიარება და ტრაბახობს, რომ ესა თუ ის ობიექტი მას უკუთვნის — უთხრა ლერნერმა ამერიკელ ჟურნალისტს „ასტონ ვილაზე“ საუბრისას — ბირმინგემში სჭირდებათ მუშა კაცი, რომელიც მათთვის სასურველ შედეგებს მიაღწევს. ასეთ კაცს თუ ვერ დაინახავენ, ფანები მხარს არ დაგიჭერენ და მორჩა. გუნდი მე კი არა, მარტინ ონილმა უნდა გადაარჩინოს. თუ „ასტონ ვილა“ წარმატებას მიაღწევს, ეს მისი დამსახურება იქნება, ჩემი არა. მე მხოლოდ და მხოლოდ მეპატრონე ვიქნები და მეტი არაფერი. ამ გუნდს 1874 წლიდან ასეთი უამრავი ჰყოლია. თუ დავინახავ, რომ არაფერი გამოდის, გავაკეთებ იმავეს, რაც ჩემმა წინამორბედებმა გააკეთეს — ჩემს გზას ვეწევი და ასპარეზს სხვას დავუთმობ. ჩემნაირები მოდიან და მიდიან, ხოლო „ასტონ ვილას“ ნამდვილ მეპატრონეებად გულშემატკივრები დარჩებიან. გულშემატკივარი ხომ არასდროს არსად მიდის“.

საინტერესოა, რომ ინგლისური პრესის აზრით, ლერნერის კომპანიაში ხუთი წუთის გატარებაც საკმარისია, რათა მიხვდე, რომ მის მიერ „ასტონ ვილას“ ყიდვის შედარება მალკოლმ გლეიზერის მიერ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყიდვასთან შეცდომაა. სხვა თუ არაფერი, ლერნერი ინგლისთან უფრო ახლოსაა და 1999 წლიდან ლონდონში ცხოვრობს, რადგან საკრედიტო ბარათების კომპანია **MBNA** ევროპის თავმჯდომარეა და კემბრიჯის უნივერსიტეტში ისტორიის კურსს კითხულობს. მერედა, გლეიზერისგან განსხვავებით ის ფანებს ყურადღებით უსმენს.

„მეპატრონეობის გარეგნული მხარე არასდროს მხიბლავდა — განაგრძობს ლერნერი — ჩემს შვილებს არასოდეს მივცემ „კლივლენდ ბრაუნზის“ (ამერიკული ფეხბურთის გუნდია, რომელსაც ასევე ლერნერი ფლობს) მაისურით სიარულის უფლებას, რადგან არ მინდა, ისინი გაიბღინძონ და თქვან: დიახ, ეს მამაჩვენის გუნდია — ის თქვენი მეპატრონეა. ასე პატარა მონსტრები აღიზრდებიან და მეტი არაფერი. „ასტონ ვილაში“ კოშმარული პასუხისმგებლობა უნდა ვიტვირთო, სხვამხრივ თავს ვერ ვხედავ. სერიოზულ ამოცანას რომ ეჭიდები, მობილიზებული უნდა იყო. სად მაქვს იმის ნერვები, რომ სტადიონზე მივიდე და მაყურებელს თვითკმაყოფილი იერით მივესალმო. თავისთავად მეპატრონეობა ხომ არაფერს ნიშნავს. მიდი, მაშინ, დაჯექი ოფისში და იგრძენი თავი მეპატრონედ. ჯერ მეპატრონეობის ერთი საათი გავა, მერე მეორე, მერე მთელი დღე... ეს არასდროს დამთავრდება. მეპატრონეს არ უნდა უნდოდეს, რომ მისი სახელი ყველას პირზე ეკეროს.“

ლერნერმა „ასტონ ვილასა“ და „არსენალის“ მატჩზე დასწრება იუარა, თუმცა „ვილა პარკზე“ მისვლას ამ დღეებში აპირებს. რატომ არ მივიდა თამაშზე?

„ეს ამ ხალხის ახალი სტადიონია, მათი თამაშია, მათი ზეიმია და ვიღაცის მისვლით ყურადღება არ უნდა გაიფანტოს. ტყუილს ხომ არ ვიტყვი, რომ მთელი სიცოცხლე „ასტონ ვილას“ ვქომაგობდი?! სამაგიეროდ, ინგლისს ნამდვილად ვქომაგობდი და ინგლისური ფეხბურთი ყოველთვის მომწონდა. ამერიკაში ასეთი ბევრია. 1982 წელს, როდესაც „ვილამ“ ჩემპიონთა თასი მოიგო, მე ინგლისში ვსწავლობდი და ის ამბავი ძალიან კარგად მახსოვს, თუმცა იმას არ გეტყვით, რომ სიხარულისგან გავგიჟდი. ისე, ვფიქრობ, სრულიად შესაძლებელია, 40 წლის ადამიანმაც შეიყვაროს ისე, რომ მთელი ცხოვრება გაჰყვეს.

წლეულს იმ დიდი გამარჯვებიდან 25 წელი გადის. ამ ხნის განმავლობაში გუნდს ახალი ზეიმი აღარ ჰქონია. ფანები ამბობენ, რომ მათ ვარსკვლავიც კი არ ჰყავთ. ჰოდა, მოდი, გამოვასწოროთ ეს ამბავი.

მე მარტინ ონილს შევხვდი და მან ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მარტინმა იცის, რომ ტრანსფერებისთვის ფული იქნება, მაგრამ ამის მიუხედავად, ის ყველაფრის გაანალიზებას ცდილობს და უნდა, შეარჩიოს მხოლოდ ის ფეხბურთელები, რომლებიც სჭირდება“.

პაპუნა კედია

წიგნს გადაგახევ თავზე

„ევერტონის“ მწვრთნელმა დევიდ მოიესმა ინგლისის ნაკრების ვარსკვლავ უეინ რუნის სასამართლოში უჩივლა. ლივერპულელთა დამრიგებელი ფეხბურთის ავტობიოგრაფიული წიგნის (**MY STORY SO FAR**) ერთ-ერთმა ნაწილმა აღაშფოთა, სადაც რუნი მკითხველს „ევერტონში“ გატარებულ წლებზე და „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლაზე მოუთხრობს.

უეინი წერს, რომ უპირველეს ყოვლისა, კლუბი მოიესთან კონფლიქტის გამო დატოვა. ფეხბურთელის აზრით, მწვრთნელს მისი მზარდი პოპულარობა შეშურდა და ყველაფერი გააკეთა, რათა რუნი „ევერტონიდან“ წასულიყო. გარდა ამისა, ყოფილი შეგირდი დევიდ მოიესს მისი ტრანსფერის შესახებ (30 მილიონი გირვანქა) კონფიდენციალური ინფორმაციის გაცემაშიც ადანაშაულებს.

მწვრთნელს სურს, რუნიმ ბოდიში მოუხადოს და არც ის არის გამორიცხული, წიგნის გარკვეული ნაწილის საჯაროდ შეცდომად აღიარება მოითხოვოს. გამომცემლობა **THE PEOPLE** კი, რომელმაც ლივერპულელი ბიჭის შედევრი გამოსცა, ირწმუნება, სასამართლო გარჩევის შესახებ არავითარი ოფიციალური წერილი არ მიგვიღიაო.

უეინ რუნიმ „ევერტონში“ ორი სეზონი (2002-2004) ითამაშა და მოიესის გუნდი 2004 წელს, ევროპის ჩემპიონატზე ინგლისის ნაკრებში წარმატებული გამოსვლის შემდეგ დატოვა.

ლადო ხოფერიძე

მარკამ ბარსას მარკა აუწია
შავს თეთრი ეფყინა

სამუელ ეტოო გასახდელიდან გაიქცა

ესპანეთი
სუპერთასი
საპასუხო მატჩი

ბარსელონა 3:0 ესპანიოლი *(1:0)*
1:0 ხავი (3), 2:0, 3:0 დეკუ (13, 62)
ბარსელონა: ხორკერა, ბელეტი, მარკესი (ტურამი 45), პუიოლი, ვან ბრონხორსტი, ხავი, მოტა (ინიესტა 69), დეკუ, მესი, რონალდინიო, ეტოო (გუდიონსენი 45)
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
ესპანიოლი: კამენი, სანჩესი, ხარკე, ლაკრუსი (ტორეხონი 58), სობალეტა, კოსტა, ფრუდსონი, რუფეტი, კორომინასი (ლუის გარსია 58), მოა (რიერა 62), პანდინიანი
მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე
მსაჯი: მეხუტო გონსალესი

სუპერთასის საპასუხო მატჩის წინ „ესპანიოლის“ ბასკი მწვრთნელი ვალვერდე იქადნებოდა, „ბარსა“ ძლიერი მეტოქეა, თუმცა ჩვენ „მონჟუიკზე“ წაგებული 0:1 არ გვაფიქრებს და ჯილდოს მოსაპოვებლად „კამპ ნოუზე“ თავიდანვე მხეცებივით ვითამაშებთო. 20 აგვისტოს შეხვედრის შემდეგ კი აი, რა თქვა დაღონებულმა სენიორ ვალვერდემ: „ბიჭები მოედანზე თავიდანვე, „ბარსელონას“ სიძლიერით დათრგუნვილნი გავიდნენ. არ დაგავიწყდეთ, მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო კლუბს მისსავე სტადიონზე ვეთამაშებოდით... თუმცა, მიუხედავად დიდი ანგარიშით წაგებისა, ჩემი ფეხბურთელების მისამართით საყვედური არ მეთქმის, ბოლომდე ფარ-ხმალი არ დაუყრიათ“.

„ესპანიოლმა“ „კამპ ნოუზე“ „მხეცურად“, დაახლოებით ორი წუთი იომა, უკვე მესამეზე კი ხავიმ რონალდინიოს პასი კამენის კარში თავით გადაგზავნა. აღსანიშნავია, რომ „ბარსამ“ მხოლოდ რიგით მეშვიდე სუპერთასი კი არ მოიგო, არამედ ლაზათიანი და ნაღდი ბურთაობით კატალონიური გრანდის არენაზე შეკრებილი ინჩასობა ფრიად გაახარა. „სუპერთასის მატჩებმა დაამტკიცა, რომ ესპანური და საერთოდ ევროპული გუნდების უმრავლესობას „ბარსას“ დონემდე ძალიან ბევრი უკლიათ“ — ეწერა გუშინდელ „მარკაში“, რაც გადაჭარბებულ ნათქვამად არ უნდა მივიჩნიოთ. შესანიშნავად ითამაშეს მესიმ, დეკუმ, რონალდინიომ, ბრწყინავდა მეორე ტაიმში შეცვლაზე შესული ექსჩელსელი გუდიონსენი, რომელიც, ალბათ, ოდენ ფორტუნის გამო არ დასცალდა კარლოს კამენის კარის დალაშქვრა.

მეცამეტე წუთზე პორტუგალიელმა დეკუმ ბელეტის გადაცემა კარგად გამოიყენა და „კამპ ნოუზე“ მისულმა „ესპანიოლის“ მცირერიცხოვანმა ფანებმა თავი ჩაქინდრეს — ტაბლოზე 2:0 აენთო. შესვენებამდე „მთავარ“ კატალონიელებს გატანის კიდევ ბევრი შანსი ჰქონდათ, თუმცა ტაიმთაშორისმა გუნდებს ამ ანგარიშზე მოუსწრო.

მეორე ტაიმში იწჩასებმა სამუელ ეტოოს მაგივრად ეიდურ გუდიონსენი იხილეს. „ბარსას“ ისლანდიელი ახალწვეული მეგოლე ეტოოს კონკურენტია და, ალბათ, სწორედ ამიტომ გაბრაზდა კამერუნელი — ეტოომ რაიკარდის გადაწყვეტილება არ მოიწონა და გასახდელიდან პირდაპირ სახლში წავიდა. „სამუელ ეტოომ პირველ ტაიმში მშვენივრად ითამაშა, თუმცა გადავწყვიტე, თავის გამოჩენის შანსი გუდიონსენისთვისაც მიმეცა — მე მწვრთნელი ვარ და როგორც ყველა დამრიგებელს, ჩემი ტაქტიკა მაქვს. სამუელს მომხდარი ფაქტის შესახებ ხვალ ვესაუბრები, დღეს კი სუპერთასით გავიხაროთ“ — უთხრა ფრანკ რაიკარდმა ჟურნალისტებს.

მეორე ტაიმში ისევ დეკუმ დაჩაგრა „ესპანიოლი“ — კვლავ ბელეტის პასი და პორტუგალიელს ულამაზესი გოლი გააქვს მეტოქე გუნდის კარში.

ერნესტო ვალვერდეს ბიჭებმა გაიბრძოლეს, მაგრამ „ბარსას“ დაცვაც ისევე კარგი აღმოჩნდა, როგორც თავდასხმა. ლუის გარსიას და ვალტერ პანდიანის შეტევებმა შედეგი ვერ მოიტანა.

საბოლოდ 3:0 და სუპერთასიც „ბარსელონას“ ერგო. ზემოთ შვიდიანი ვახსენეთ და გეტყვით, რომ დაუძინებელ მტრებს შორის ანგარიში გათანაბრდა — ახლა „ბარსასაც“ 7 სუპერთასი აქვს და მადრიდის „რეალსაც. „ესპანიოლს“ კი „ბარსელონას“ დასჯა უნდოდა და თვითონ დაისაჯა. „პატარა“ კატალონიელები წინა მატჩში (როგორ თავად აცხადებდნენ) მეტოქის მიერ ფიფას წესების დარღვევისთვის, „ბარსასთვის“ 0:3 წაგების ჩათვლას ითხოვდნენ. ფედერაციამ საჩივარი უსაფუძვლოდ ცნო, ხოლო ვალვერდეს გუნდმა 3 ბურთი მიიღო საკუთარ კარში.

ლადო ხომერიკი

სენი რეკორდსმენი
მეკარე, რომელიც მეკარეებს აშინებს

„სან პაულუსა“ და ბრაზილიის ნაკრების მეკარე როჟერიო სენიმ ქვეყნის ჩემპიონატში „კრუზეიროსთან“ ორი გოლი გაიტანა და მსოფლიოს რეკორდიც დაამყარა. ახლა, 33 წლის მეგოლე გოლკიპერის ანგარიშზე 64 გოლია. ძველი რეკორდი კი გოლზე დაგეშილ, მეორე სახელიან კარის მცველს, პარაგვაელ ხოსე ლუის ჩილავერტს ეკუთვნოდა. ხოსემ სხვადასხვა ტურნირებზე „ოდენ“ 62 გოლი შეაგდო.

როჟერიო მიუკე სენი 1973 წლის 22 იანვარს ბრაზილიურ პატო ბრანკოში დაიბადა. „სან პაულუში“ 1990 წლიდან თამაშობს და სამჯერ ლიბერტადორესის თასი და კლუბთა მსოფლიო ჩემპიონატი მოუგია. „სან პაულუს“ შემადგენლობაში 600-ზე მეტი მატჩი ჩაატარა. როგორც მეკარე, შესანიშნავი გახლავთ, თუმცა ეს მეგოლეობაში ხელს არ უშლის — „სან პაულუს“ მიერ შესრულებული პენალტებისა და საჯარიმოების თითქმის ასი პროცენტი ბებერ როჟეზე მოდის. ბრაზილიაში ამბობენ, მეტოქის მეკარეებს აცახცახებთ, როცა საჯარიმოს დასარტყმელად როჟერიო სენი ემზადებაო.

კვირას, 20 აგვისტოს კი ალბათ, „კრუზეიროს“ გოლკიპერი კანკალებდა. „სან პაულუ“ ჯერ 0:2-ს აგებდა, თუმცა სენის ზუსტად შესრულებულმა ჯარიმამ და შემდეგ პენალტმა რეკორდსმენი მეკარის გუნდს საჭირო ქულა მოუტანა: „სან პაულუ“ ცხრილში კვლავაც პირველია და მეორეზე მყოფ „სანტოსს“ სამი ქულით უსწრებს.

ნიკოლა ანელკა ბაჰჩედან იპარეგა

„ფენერბაჰჩეს“ ფრანგი ფორვარდი ნიკოლა ანელკა, ალბათ, პრემიერლიგის „ბოლტონში“ აღმოჩნდება. ფეხბურთელის თქმით, მან უკვე შეათანხმა პირობები სემ ალარდაისის გუნდთან და ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

ფრანგი თავდამსხმელი დიდად მოხიბლული არ გახლავთ სტამბოლში ცხოვრებით და არაერთხელ დაუწუწუნია, აქედან წასვლა მინდაო. ახლა „ფენერს“ ლეგენდარული ბრაზილიელი ზიკო წვრთნის, რომელიც გუნდის შემადგენლობის გადახალისებას აპირებს და ანელკამაც ბარგი შეკრა.

„პრემიერლიგაში დაბრუნება მსურს და ეს მალე მოხდება — განაცხადა ფრანგმა — მე უკვე მოვურიგდი „ბოლტონს“ ოთხწლიან კონტრაქტზე, კომედოვნებ, რომ ამ კვირის დასაწყისში ყველაფერს ბეჭედი დაესმება“.

სემ ალარდაისმა რამდენიმე ფორვარდის შეძენა სცადა ამ ზაფხულს, მაგრამ ვერც ერთი საქმე ვერ მოაკვარახჭინა, ახლა კი დამშვიდდება თუკი ანელკას „ბოლტონის“ მაისურას მოარგებს.

შეგახსენებთ, რომ ფრანგ ფორვარდს თავის დროზე „არსენალში“ და „რეალში“ უთამაშია.

გიორგი დარჯანია

სახლისაკენ ჰერი-ჰერი!

პსვ-ს მწვრთნელმა რონალდ კუმანმა თავისი გუნდის მცველი ანდრე ოიერი დასაჯა — ვარჯიშზე არ დაუშვა. მცველი „ბლეხბერნთან“ მოლაპარაკებას აწარმოებს და პსვ-ზე გულაყრილია. ამიტომ კუმანმა უთხრა, სანამ არ „დალაგდები“, ვარჯიშზე მოსული არ გნახოო. თან ოიერს ჰოლანდიის ჩემპიონატის პირველ ტურში „ჰაიმეგენთან“ თამაშზე უარი უთქვამს, ტრავმა რომ მივიღო, „ბლეხბერნში“ გადასვლის ამბავი ჩამეშლებაო.

გაბრაზებულმა კუმანმა განაცხადა: „ჩემპიონატში თამაშს თუ უარობ, ვარჯიშზეც არაფერი გესაქმება. მწვრთნელს ამ შემთხვევაში სხვა არაფერი დარჩენია, გარდა იმისა, რომ ფეხბურთელი შინ გაუშვას. დანარჩენ კლუბისა და თავად ოიერის გასარკვევია, მე კი გავკეთე ის, რაც მწვრთნელს ევალება“.

პსვ-ელი იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკიც წასვლას აპირებს „სელტიკში“, მაგრამ მან „ჰაიმეგენთან“ ითამაშა და გოლიც გაიტანა.

„ოიერმა მაგალითი ოფ ჰესელინკისგან აიღოს — ბრძანა კუმანმა — ხვალ შეიძლება „სელტიკში“ აღმოჩნდეს, მაგრამ თავისი კლუბისთვის მაინც ირჯება და ფეხებს არ უფრთხილდება“.

ჩემპიონთა ლიგა 2006–2007

მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები. დღეს

18 მილიონი ევროსთვის

რაფა ბენიტესმა იცის: კიევის მაკაბი გაიხსნება

მაკაბი (ისრაელი) — ლივერპული (ინგლისი) 1:2
ოსასუნა (ესპანეთი) — ჰამბურგი (გერმანია) 0:0
ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) — მილანი (იტალია) 0:1
ბენფიკა (პორტუგალია) — ავსტრია (ავსტრია) 1:1
ვალენსია (ესპანეთი) — ზალცბურგი (ავსტრია) 0:1

ბელგრადში „მილანს" ოთხი ტრავმირებული მცველი მიჰყვება — პაოლო მალდინი, ალესანდრო ნესტა, კახა კალაძე და დანიელე ბონერა. საეჭვოა, რომ რომელიმემ „ცრვენა ზვეზდასთან" ითამაშოს, მაგრამ გუნდთან ერთად ყოფნა, რომელსაც უმძიმესი მატჩი ელის, აუცილებელია. შეგახსენებთ — პირველი მატჩი „სან სიროზე" „მილანმა" ინძაგის გოლით 1:0 მოიგო და ბელგრადელები დიდი ბრძოლისთვის ემზადებიან — სასწორზე ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის საგზური დევს.

მილანელთა დაცვის ხაზი კი, ალბათ, ასეთი იქნება: მარჯვნივ კაფუ, შუაში ფავალი და 40 წლის კოსტაკურტა, ხოლო მარცხნივ სერჯინიო.

„ეს მატჩი მთელ მომავალ სეზონს განსაზღვრავს — განაცხადა კაფუმ — მეტოქეს პატივს ვცემთ და ჩვენ თუ ჯგუფში მოხვედრა გვინდა, უკეთესად უნდა ვითამაშოთ, ვიდრე პირველ შეხვედრაში".

ისრაელ-ლიბანის კონფლიქტის გამო ჰაიფას „მაკაბი" „ლივერპულს" კიევში უმასპინძლებს. შეგახსენებთ, რომ ისევე როგორც „მილანს", ლივერპულელებსაც ერთბურთიანი მარაგი აქვთ საპასუხო მატჩის წინ. ინგლისში „მაკაბი" ყოჩაღად ეთამაშა მეტოქეს და ბოლო წუთზე გაშვებული გოლითღა დამარცხდა 1:2.

„ჰაიფელებმა „ენფილდზე" კარგად ითამაშეს, თუმც თითქმის მთელი შეხვედრის განმავლობაში დაცვაში ისხდნენ. საპასუხო მატჩში ამას ვეღარ გააკეთებენ. მათ მოგება სჭირდებათ და გაიხსნებიან" — თქვა რაფაელ ბენიტესმა, რომელსაც ტრავმის გამო ორი მცველი — ჯეიმი კარაგერი და რიესე დააკლდება. ორივე პრემიერლიგის პირველ ტურში, „შეფილდთან" თამაშისას დაშავდა. ექიმის განცხადებით, ფეხურთელებს მარცხენა მუხლი სტკივათ და ორ-სამ კვირაში გამოკეთდებიან. „ლივერპულმა" ამ მატჩის კვიპროსში გამართვა ითხოვა, მაგრამ უეფამ კიევი არჩია.

ხოლო მარკ გონსალესმა, რომელმაც „ენფილდზე" „მაკაბის" გამარჯვების გოლი გაუტანა, თქვა: „ჩვენ უკვე ვითამაშეთ ორი მატჩი „მაკაბისთან" შეხვედრის შემდეგ და უკეთეს ფორმაში ვართ".

„ჰამბურგი" პამპლონში „ოსასუნასთან" მიემგზავრება და, როგორც ბუნდესლიგის ორ ტურში გამოჩნდა, თომას დოლის გუნდს პრობლემები არ აკლია. შინ „არმინიასთან" ფრე ითამაშეს, შემდეგ კი სტუმრად „კოტბუსს" დაუზავდნენ. ჰამბურგელებმა ოთხი დღის წინ ერთ-ერთი საუკეთესო მცველი ხალიდ ბულარუზი „ჩელსის" მიჰყიდეს. თომას დოლი: „არ მჭირდებოდა ისეთი ფეხბურთელი, რომელიც „ცალი ფეხით" ითამაშებდა. ვკითხე და ალალად მითხრა, რომ „ჩელსიში" გადასვლა უნდოდა და ამიტომ გავუშვით".

ვან ბუიტენი „ბაიერნში" გადავიდა, ახლა ბულარუზიც წავიდა, კიდევ ერთი მცველი, ამ ზაფხულს შეძენილი ვინსენ კომპანი, დაშავდა და ასეთი გუნდით „ჰამბურგს" „ოსასუნაში" მძიმე ბრძოლის გადატანა მოუწევს, თუმც დოლი ამბობს: „ჩვენ ვემზადებით ამ მატჩისთვის და ქომაგები სულ სხვა, გაცილებით უკეთეს „ჰამბურგს" ნახავენ".

„ვალენსიას" კი ჯოვანი ტრაპატონის „ზალცბურგი" ეწვევა, რომელმაც „ღამურებს", ორი კვირის წინ 1:0 მოუგო. ესპანელთა ფორვარდი დავიდ ვილია ამტკიცებს, რომ ეს მატჩი მისი გუნდისთვის უმთავრესია ამ სეზონში: „სპორტული თუ ფინანსური თვალსაზრისით, ჩემპიონთა ლიგაში თამაში მომგებიანია და ეს ყველამ ვიცით. ჩვენს ქომაგებს უნდათ, რომ მათი გუნდი ევროპულ გრანდებს ეთამაშოს, საამისოდ კი ჯგუფში მოხვედრაა საჭირო. დარწმუნებული ვარ, ორი და მეტი გოლის გატანას შეძლებთ „ზალცბურგის" კარში".

შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგაში შესული კლუბი დაახლოებით 18 მილიონი ევროთი მდიდრდება.

ირაკლი ნინიძე

ვინსენ კომპანი



იონ არნე რიისე

პაოლო მალდინი

ინგლისურ ხაზს ნიგერიელი წაულის

„ნიუკასლის" მწვრთნელი გლენ რიოდერი ამბობს, რომ რამდენიმე დღეში ახალ ფორვარდს შეიძენს. ეს ფორვარდი კი, ალბათ, „ინტერის" ნიგერიელი ობაფემი მარტინსი იქნება.

ფეხბურთიდან შირერის წასვლისა და მაიკლ ოუენის ტრავმის გამო, „ნიუკასლს" თავდამსხმელი ძალიან სჭირდება. რიოდერს ნამდვილად სურს მარტინსის შეძენა, თუმც დაახლოებით ერთი კვირის წინ ეჭვი გამოთქვა ნიგერიელის ასაკის თაობაზე. ოფიციალურად, მარტინსი 1984 წელსაა დაბადებული, მაგრამ „ნიუკასლის" თავკაცს საიდანღაც შეუტყვია, რომ 84-ში კი არა 78-შია დაბადებულიო. ამიტომ, რიოდერმა „ინტერს" ფეხბურთელზე ფასის დაკლება მოსთხოვა და ახლა საუბარია 9 მილიონ ევროზე.

ნიგერიელს კი თავადაც არ უნდა „ინტერში" დარჩენა. ერნან კრესპოსა და ზლატან იბრაჰიმოვიჩის მისვლის შემდეგ მისი ადგილი გუნდში აღარ ჩანს.

ობაფემი მარტინსი აგენტთან ერთად ნიუკასლში ჩასვლას აპირებდა და ინგლისური მედიის ცნობით, შეთანხმება თუ მოხდა, ტრანსფერი ამ კვირის ბოლომდე გაიჩარხება.

„ვფიქრობ, რომ ვიპოვეთ ის, ვინც გვჭირდებოდა. მოლაპარაკება კარგად მიდის. პრემიერლიგის გუნდების დაცვის ხაზი ძალიან ძნელი გასავლელია და ამიტომ საჭიროა სწრაფი კაცი, ვისაც დროულად გახსნა, ბურთის მიღება და კარგად დარტყმა ეხერხება. ერთ-ერთი ასეთია მარტინსი. ორი კვირაა სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე და ფორვარდის შეძენა უნდა მოვასწროთ" — განაცხადა გლენ რიოდერმა.

ირაკლი ნინიძე

ბრაზილია

სერია A. XVIII ტური

პონტე პრეტა — გოიასი 3:2; ფლამენგო — გრემიო 1:0; კრუზეირო — სან პაულუ 2:2; ფლუმინენსე — სანტა კრუზი 1:1; ფორტალეზა — ფლენტუდე 4:1; სანტოსი — ვასკუ და გამა 0:2; კორინთიანსი — ბოტაფოგო 1:0; ფიგეირენსე — ატლეტიკო პარანაენსე 3:3; ინტერნასიონალი — პალმეირასი 1:1; პარანა — სან კაეტანო 1:0

ჩილე

აპერტურა. VI ტური

კობრელოა — რეინჯერსი 0:0; სერენა — უ ჩილე 3:0; ანტოფაგასტა — კონსეფსიონი 3:2; კოლო კოლო — ესპანიოლა 1:0; კობრელოა — ეკვერტონი 3:0; მორნინგი — უანიპატო 3:4; უონდერერსი — პუერტო მონტი 3:0; ბიგისი — კოკიმბო 3:0; უ კათოლიკა — პალესტინო 1:0

აშშ

მეიჯორლიგა. XXIV ტური

დი სი იუნაიტედი — კოლორადო 1:1; კოლუმბუსი — რედ ბულზი 1:0; სოლტ ლეიკი — ჰიუსტონი 3:1; ჩივასი — კანზასი 1:1; ნიუ ინგლენდი — ჩიკაგო 0:1; ლოს ანჯელესი — დალასი 2:0

არგენტინა

აპერტურა. XIX ტური

ბანფილდი — როსარიო 1:1; ბელგრანო — სან ლორენსო 2:2; არსენალი — ნუეკა ჩიკაგო 2:0; ბოკა ხუნიორსი — ინდეპენდიენტე 1:0; კოლონი — ქასტელანატექსი 0:2; ხიმნასია (ტ) — ხიმნასია (ლ) 3:1; ნიუელბი — ლანუსი 0:1; კილმესი — გოდოი კრუსი 0:0; რასინგი — რიფერ პლეტი 3:1; არგენტინოს ხუნიორსი — ველეს სარსფილდი 0:1

უნგრეთი

ბორსოდი ლიგა. III ტური

დიოშგიორი — ზალაეგერსეგი 1:4; ტატაბანია — პაკში 3:0; ფეჰერვარი — პეჩი 2:2; ჰონვედი — უიპეშტი 1:1; მტკ — სოპრონი 4:1; ვაჩი — კაპოშვარი 0:1; გიორი — რეკეი 2:2; დებრეცენი — ვაშაში 3:0

მექსიკა

აპერტურა. III ტური

ხაგუარესი — უნამი 0:1; ატლანტე — სან ლუისი 1:0; კრუს ასული — მონტერეი 2:0; ვერაკრუსი — უაგი 1:1; სანტოსი — ნეკაქსა 2:2; ტიგრესი — მორელია 2:1; ატლასი — ამერიკა 2:0; ტოლუკა — გალოს ბლანკოსი 3:0; პაჩუკა — გვადალახარა 1:2

ბედზე გამარჯვება

... მაშინ „პალმეირასში“ ვთამაშობდი, პრესამ ბრაზილიის საუკეთესო ფეხბურთელად დამასახელა და უცნაური იქნებოდა, ოლიმპიადაზე წამსვლელ მობურთალთა სიაში რომ არ მოვხვედრილიყავი. კანონი კანონია, როგორც იცით, ბრაზილიას, ისევე როგორც სხვა გუნდებს, ოლიმპიადაზე 23 წელს გადაცილებული მხოლოდ სამი ფეხბურთელის წაყვანა შეეძლო, სამეულში პირველი მე ვიყავი, მეორე ვაკანსია სელექციონერებმა ბებეტოს მიაკუთვნეს, ხოლო მესამე ადგილზე მოხვედრის შანსი მცველ ალდაირს ჰქონდა. თუმცა ბევრს სურდა, სამეულში ვეტერანი რომარიოც ეხილა, ამიტომაც გულშემატკივართა დიდი ნაწილი ბრაზილიის ნაკრების თამაშებზე და ვარჯიშებზე ეროვნული გუნდის ყვითელ ფორმაში გამოწყობილი კი არა, „ფლამენგოს“ ალისფერ-შავი მაისურებით მოდიოდა. „ფლამენგო“ რომარიოს მაშინდელი კლუბი გახლდათ.

საბოლოოდ „რომის“ მაინც ალდაირმა აჯობა. მე კი ზაგალოს ყველა თამაშში შეცვლაზე შევყავდი. ასე მოხდა ნიგერიასთანაც. ჩემი უბედურებაც იქიდან დაიწყო.

ნიგერიასთან, ატლანტის ოლიმპიადის ნახევარფინალურ შეხვედრაში, ზაგალომ მოედანზე მაშინ შემოშვა, როდესაც ანგარიში 3:1 იყო ჩვენს სასარგებლოდ. მწვრთნელმა დამავალა, რომ ბურთი რაც შეიძლება, დიდხანს დამეჭირა, რათა მომგებიანი შედეგი შეგვენარჩუნებინა. თუმც ბურთთან ჩემი პირველივე შეხება კრახით დასრულდა — მოედნის ცენტრში რივალდოს შეცდომის შემდეგ ნიგერიელებმა კონტრშეტევა წამოიწყეს და მეორე გოლი გაგვიტანეს. ამას კიდევ მეტოქის მხრიდან ჯოჯოხეთური პრესინგი მოჰყვა და მატჩის ბოლო წუთზე ანგარიში გაგვითანაბრეს.

დამატებით დროში აფრიკულმა გუნდმა კვლავ გაგვიტანა და ოლიმპიადის ნახევარფინალიდან გამოგვაგდო. ეს იყო შოკი, რომლის გამომწვევ მიზეზად, რა თქმა უნდა, რივალდო დაასახელეს — ნიგერიასთან ავადსახსენებელი მატჩის შემდეგ რამდენიმე ხნით თანამემამულეთათვის ურჩხულად ვიქეცი. გაზეთები წერდნენ და ხალხიც ამბობდა, რომ ბრაზილიამ ოლიმპიადის ოქროს მედლები ჩემი მიზეზით დაკარგა. ჩვენთან ხომ სანახევრო მიღწევები არ უხარიათ. შეიძლება, ოლიმპიადის ბრინჯაო სხვისთვის კარგი შედეგი იყოს, მაგრამ ბრაზილიისთვის კატასტროფაა. თან ზაგალოს ნათქვამმაც ცეცხლს ნავთი დაამატა, როცა თქვა: „რივალდო ოლიმპიადაზე იმიტომ წავიყვანე, რომ ქვეყნის საუკეთესო მოთამაშე იყო, თუმცა მან ჩემი იმედები ვერ გაამართლა, ზედმეტად ხშირად ცდებოდა, ზედმეტად რისკავდა, იერიშებში უკანმოუხედავად ერთვებოდა და მეტოქის კონტრშეტევებისას დაცვაში სუსტი გახლდათ. იგი ან არ, ან კიდევ ვერ ასრულებდა მწვრთნელების დავალებებს“. წარმოიდგინეთ, როგორ „მოულობდა“ ეს გულს ჩემზე გაბრაზებულ გულშემატკივარს.

პრესამ საფლავი წინასწარ გამითხარა და „დაკრძალვის ცერემონიალისთვისაც „გამალებით“ ემზადებოდნენ — გაზეთები და ტელევიზია იმაზე მარჩიელობდნენ, თუ როდის გამაგდებდა ნაკრებიდან მარიო ზაგალო. ბრაზილიის ეროვნულმა გუნდმა მესამე ადგილისთვის მატჩში პორტუგალიას 5:0 გადაუარა, მაგრამ მე მოედანზე ერთი წამითაც არ შევსულვარ. თამაში რომ დასრულდა, ზაგალოსთან მივედი და ვუთხარი, ნიგერიასთან ჩემი შეცდომებისთვის ბოდიშს ვიხდი, მაგრამ არ მგონია, ის ნახევარფინალი მარტო რივალდოს გულისთვის წაგვეგოს-მეთქი. მწვრთნელი თითქოს დამეთანხმა, თუმცა მომავალი ერთი წელი ნაკრების კარები მაინც საგულდაგულოდ ჩამირაზეს. გული მტკიოდა, მაგრამ ზაგალოსთვის გუნდში დაბრუნების თხოვნით არ მიმართავას.

ატლანტიდან ბრაზილიაში რომ ჩავედი, ობსტრუქცია მომიწყვეს. ის ხალხიც კი მლანძღავდა, ადრე მეგობრებად რომ მიმაჩნდა. ქუჩაში გამოსვლა მეზიზღებოდა. სან პაულუს ერთ-ერთმა გაზეთმა გამოკითხვა მოაწყო, თუ ვინ იყო ბრაზილიის ყველაზე ცუდი ფეხბურთელი და ინებეთ: პირველი ადგილი ხმათა უდიდესი უმრავლესობით რივალდოს ეკუთვნის, მეორეზეა ალდაირი, შემდეგ რობერტო კარლოსი, ვინც ნიგერიასთან ავტოგოლი შეაგდო და ხუთეულს კი ჟუნინიო და მეკარე დიდა აგვირგვინებდნენ. ბრაზილიელთა სიძულვილმა დიდი როლი ითამაშა მაშინ, ესპანურ „დეპორტივოში“ ჩემს გადასვლაში.

ნაკრების ყველა შემდგომი თამაში გულში ხანჯალივით მხვდებოდა, მედია კი ჭრილობებზე მარილს მაყრიდა...

უჩვეულოდ ცრუმორწმუნე ალმოჩნდა ლეგენდარული მარიო ზაგალო. ამ მწვრთნელს არ უყვარდა ფეხბურთელები, რომელთა სახელით ერთხელ მაინც მარცხს დაუკავშირდა. ასე თუ ისე, 1997 წლის კოპა ამერიკას დროს მაინც ნაკრების მიღმა დავრჩი. და ეს მაშინ, როცა ესპანეთში საუკეთესო ლეგიონერად დამასახელეს — ბარსელონელმა რონალდომ თავისი 34 გატანილი ბურთითაც ვერ მაჯობა. უნდა გენახათ, ლაკორუნიელი ჟურნალისტები როგორ განცვიფრდნენ — რა, ზაგალომ ესპანეთის სეგუნდადივიზიონში მოთამაშე ბრაზილიელები მიიწვია და შენ კი ნაკრების მიღმა დგტოვა? — მეკითხებოდნენ ისინი. იმ დროს სანაკრებო კანდიდატთა სია უზარმაზარი იყო და ზაგალოზე ამბობდნენ, გუნდში მავანის მოსახვედრად გვარიან ქრთამსაც იღებსო. თუმც მე არასოდეს შემპარვია ეჭვი სეუ მარიოს პატიოსნებაში.

უცნაურია, მაგრამ ნაკრებიდან კვლავ ჩამოცილებამ რივალდოზე, როგორც ფეხბურთელზე, სასიკეთოდ იმოქმედა. ახლა უკვე ვიცოდი, რას ნიშნავდა დიდი წაგება და ჩემს თავს ვუთხარი — თუ გინდა, რომ ძლიერი იყო, ნაკრებში უნდა ითამაშო, ნაკრებში მოხვედრისთვის კი... ძლიერი უნდა იყო, შეცდომების უფლება არ გაქვს... აი, ეს ვისწავლე მაშინდელი მწარე გაკვეთილიდან. რაც შეეხება წყენას და გულისტკენას, ამას შეჩვეული ვიყავი, მთელი ცხოვრება ხომ ხან მლაძღავდნენ და ხან მაღმერთებდნენ...

მსოფლიოს ჩემპიონატი

საფრანგეთის მუნდიალის წინ, ზაგალოს ჩემდამი რისხვა მოწყალებით შეიცვალა. ნაკრებში დამაბრუნეს და ათნომრიანი მაისურა მომცეს, რაც ნებისმიერი ბრაზილიელი ფეხბურთელისთვის ფანტასტიკას ნიშნავს — თავის დროზე პელემ განუმეორებელი სასწაულები ამ ნომრით მოახდინა. ასე რომ, კვლავ ყურადღების ცენტრში მოვექეცი.

ლეგენდარული ნომერი თან მეხმარებოდა და თან მბორკავდა. საერთო ჯამში 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი ჩემთვის კარგად წარიმართა. ყველა მატჩში ვითამაშე და სპეციალისტთაგან მაღალი შეფასება მივიღე. ალბათ, ფინალში ფრანგები რომ დაგვემარცხებინა, ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელადაც დამასახელებდნენ. თუმცა ოცნება დაიმსხვრა და მეც მსოფლიო კლასიფიკაციით მეხუთე ადგილს უნდა დავჯერებოდი.

ისევ პელეს მაისურას დავუბრუნდეთ. ჩემს ადგილას სხვას ეგებ ხმაურიანი პრესკონფერენცია მოეწყო და „წმინდა კვართში“ გამოწყობილს ფოტორეპორტიორების თვალწინ თავმომწონედ ეპოზიორა. მე კი ვიფიქრე, რას მეტყოდა რომილდო, ცოცხალი რომ ყოფილიყო? მამაჩემს კეკლუცობა არ უყვარდა, ამიტომაც ათნომრიანი მაისურას მიღებასთან დაკავშირებულ აჟიოტაჟზე უარი ვთქვი...

გაგრძელება იქნება

ნაეთრიე!



სტოკჰოლმის გარეუბანში ლარს ლაგერბეკის სახლი ნიღბიანმა ბრბომ დაარბია. შფოთისთავეებმა ფანჯრები ქვებით ჩალეწეს, ხოლო სახლის წინ, შვედეთის ნაკრების მწვრთნელს პლაკატი გამოუფინეს — „ლარს, წაეთრიე!“

ადგილობრივი მედიის ცნობით, საფეხბურთო ხულიგანთა აზრს შვედი გულშემატკივრების უმრავლესობა არ იზიარებს. თუმც გერმანელებთან ზედიზედ ორი მატჩის წაგებამ (ერთი მუნდიალზე და ერთიც ამხანაგური) ბუნებით აუღელვებელი სკანდინავიელი ქომაგებიც გააღიზიანა.

ნიღბიანები შემთხვევის ადგილიდან მსწრაფლ გაქრნენ, ხოლო შედარებით გვიან მისულმა პოლიციამ ბოროტმოქმედთა ძებნა დაიწყო.

ლადო ხომერიკი

მეკარის მარცხი და მარცხენა

ბერძნული აეკის მეკარე სტეფანო სორენტინო კვირას ავტოკატასტროფაში მოყვა და შოტლანდიურ „ჰართსთან“ ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩის გამოტოვება მოუწევს.

იტალიელი გოლკიპერის მანქანა გზისპირა ხეს შეასკდა. სორენტინომ რამდენიმე სახიფათო ჭრილობა და მარცხენა ხელის სერიოზული ტრავმა მიიღო. მას დახმარება დაუყოვნებლივ აღმოუჩინეს, თუმცა მინიმუმ ორი-სამი დღე ჰოსპიტალში დარჩენა მოუწევს. ექიმთა განცხადებით, სორენტინო ბურთს და მოედანს მინიმუმ ოთხ კვირას ვერ დაუბრუნდება, რაც ლიგის მატჩის გამოტოვებას ნიშნავს. შეგახსენებთ, რომ აეკმა პირველ თამაშში „ჰართსი“ სტუმრად 2:1 დაამარცხა. საპასუხო მატჩი ხვალ გაიმართება.

სარბიელი & კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		22 აგვისტო						
22:45	1	უოტფორდი-ვესტ ჰემი	2.80	3.30	2.30	1.51	1.26	1.35
23:00	2	ტოტენჰემი-შეფილდი	1.45	3.80	7.00	1.04	1.20	2.46
		23 აგვისტო						
22:45	3	ასტონ ვილა-რედინგი	1.80	3.30	4.30	1.16	1.26	1.86
22:45	4	ბლექბერნი-ევერტონი	2.25	3.20	3.00	1.32	1.28	1.54
22:45	5	სიტი-პორტსმუთი	2.10	3.20	3.25	1.26	1.27	1.61
23:00	6	ჩარლტონი-მანჩესტერი	6.00	3.80	1.50	2.32	1.20	1.07
23:00	7	ფულემი-ბოლტონი	2.50	3.20	2.60	1.40	1.27	1.43
23:00	8	მიდლსბრო-ჩელსი	8.50	3.80	1.40	2.62	1.20	1.02
		ავსტრია. ბუნდესლიგა						
		23 აგვისტო						
21:30	137	გრაცერი-ტიროლი	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		26 აგვისტო						
23:45	160	ვალენსია-ბეტისი	1.60	3.40	5.80	1.08	1.25	2.14
		27 აგვისტო						
23:00	151	ბილბაო-სოსიედადი	2.00	3.20	3.55	1.23	1.27	1.68
21:00	153	ესპანიოლი-ტარაგონა	1.75	3.30	4.50	1.14	1.25	1.90
21:00	154	დეპორტივო-სარაგოსა	2.00	3.20	3.50	1.23	1.27	1.67
21:00	155	ოსასუნა-ხეტაფე	1.85	3.20	4.20	1.17	1.28	1.81
20:00	156	რეალი-ვილიარეალი	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
21:00	157	უელვა-მალიორკა	2.30	3.10	3.00	1.32	1.30	1.52
21:00	158	რასინგი-ატლეტიკო	3.00	3.20	2.25	1.54	1.28	1.32
21:00	159	სევილია-ლევანტე	1.55	3.50	6.30	1.07	1.24	2.25
		28 აგვისტო						
23:00	152	სელტა-ბარსელონა	4.70	3.40	1.70	1.97	1.24	1.13
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		23 აგვისტო						
21:00	323	ლინი-ლილესტრიომი	2.55	3.20	2.60	1.41	1.28	1.43
		27 აგვისტო						
20:00	324	ბრანი-მოლდე	1.45	3.80	6.50	1.04	1.18	2.39
20:00	325	ფრედრიკსტადი-სტარტი	2.45	3.20	2.70	1.38	1.28	1.46
20:00	326	ლინი-სანდეფიორდი	1.75	3.30	4.40	1.14	1.25	1.88
20:00	327	ოდ გრენლანდი-ტრომსიო	2.00	3.30	3.30	1.24	1.24	1.64
20:00	328	ვიკინგი-ვოლერენგა	1.80	3.30	4.00	1.16	1.24	1.80
22:00	329	ლილესტრიომი-ჰამარი	1.45	3.80	6.50	1.04	1.18	2.39
		28 აგვისტო						
21:00	330	რუსენბორგი-სტაბეკი	1.65	3.50	4.60	1.12	1.21	1.98
		ნორვეგია. I დივიზიონი						
		23 აგვისტო						
20:30	331	ბრინი-ფოლო	1.30	5.00	7.00	1.03	1.09	2.91
		შვედეთი. ალსვენსკა						
		22 აგვისტო						
21:00	343	ელფსბორგი-ჰალმსტადი	1.50	3.70	6.00	1.06	1.20	2.28
22:00	344	ჰელსინგბორგი-ჰამარბი	2.25	3.30	2.85	1.33	1.25	1.52
		ჩემპიონთა ლიგა						
		22 აგვისტო						
22:30	449	მაკაბი ჰ-ლივერპული	(ნ)7.20	4.00	1.40	2.57	1.17	1.03
22:45	450	ოსასუნა-ჰამბურგი	2.00	3.10	3.50	1.21	1.27	1.64
23:00	451	ცრვენა ზვეზდა-მილანი	5.50	3.40	1.60	2.10	1.23	1.08
23:45	452	ვალენსია-ზალცბურგი	1.25	5.00	10.00	1.00	1.11	3.33
23:15	464	ბენფიკა-ავსტრია	1.35	4.20	8.00	1.02	1.15	2.75
		23 აგვისტო						
19:00	453	სპარტაკი-ლიბერეცი	1.50	3.50	6.50	1.04	1.21	2.27
21:30	454	ბოლესლავი-გალათასარაი	2.60	3.10	2.55	1.41	1.28	1.39
21:30	455	სტიაუა-სტანდარდი	1.65	3.30	5.50	1.10	1.26	2.06
22:00	456	ფენერბაჰჩე-დინამო კ	1.80	3.20	4.50	1.15	1.28	1.87
22:00	457	რაბოტნიჩკი-ლილი	4.70	3.30	1.70	1.93	1.24	1.12
22:15	458	რუუომბეროკი-ცსკა(მ)	3.20	3.10	2.20	1.57	1.30	1.28
22:30	459	აიაქსი-კოპენჰაგენი	1.40	4.00	7.50	1.03	1.17	2.60
22:30	460	ლეგია-შახტარი	2.55	3.00	2.65	1.37	1.29	1.40
22:45	461	აეკ-ჰართსი	1.50	3.60	6.20	1.05	1.20	2.27
23:00	462	კიევო-ლევსკი	1.55	3.60	5.50	1.08	1.20	2.17
23:05	463	არსენალი-დინამო ზ	1.15	6.50	12.00	1.00	1.04	4.21
		ინგლისი. თასი						
		22 აგვისტო						
22:45	498	ბირმინგემი-შრიუსბერი	1.27	4.50	9.50	1.00	1.12	3.05
22:45	499	ბლეკპული-ბარნსლი	2.65	3.20	2.40	1.44	1.25	1.37
22:45	500	ბორნმუთი-საუთენდი	2.75	3.20	2.30	1.47	1.25	1.33
22:45	502	როვერსი-ლუტონი	3.75	3.30	1.85	1.75	1.23	1.18
22:45	503	ბარნლი-ჰარტლპული	1.40	3.70	6.70	1.01	1.15	2.38
22:45	504	ბერი-სანდერლენდი	5.40	3.30	1.60	2.04	1.23	1.07
22:45	505	კარდიფი-ბარნეტი	1.30	4.30	8.00	1.00	1.11	2.79
22:45	506	კარლაილი-ბრედფორდი	2.20	3.20	2.90	1.30	1.25	1.52
22:45	507	ჩელტენემი-ბრისტოლი	2.45	3.30	2.45	1.40	1.22	1.40
23:00	509	კრისტალ პალასი-ნოტსი	1.33	4.40	6.50	1.02	1.10	2.62
22:45	510	დონკასტერი-როჩდეილი	1.50	3.60	6.00	1.05	1.20	2.25
22:45	511	გრიმსბი-ქრიუ	2.60	3.10	2.45	1.41	1.26	1.36
22:45	512	ჰერეფორდი-ქოვენთრი	4.20	3.30	1.75	1.84	1.23	1.14
22:45	513	ჰადერსფილდი-მენსფილდი	1.50	3.60	6.00	1.05	1.20	2.25
22:45	514	ჰალი-ტრანმერი	1.60	3.50	5.00	1.09	1.21	2.05
22:45	515	ლიდსი-ჩესტერი	1.30	4.20	8.00	1.00	1.11	2.75
22:45	516	ლესტერი-მაკლსფილდი	1.35	4.10	7.50	1.01	1.14	2.65
22:45	517	მილუოლი-ჯილინგემი	1.90	3.30	3.60	1.20	1.24	1.72
22:45	518	დონსი-კოლჩესტერი	3.10	3.20	2.15	1.57	1.26	1.28
22:45	519	პიტერბრო-იფსვიჩი	3.10	3.30	2.10	1.59	1.25	1.28
22:45	520	პლიმუთი-უოლსოლი	1.50	3.60	6.00	1.05	1.20	2.25
22:45	522	ქპრ-ნორთჰემპტონი	1.60	3.50	5.00	1.09	1.21	2.05
22:45	523	როტერჰემი-ოლდემი	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
22:30	524	სკანთორპი-ლინკოლნი	1.75	3.30	4.20	1.14	1.23	1.84
22:45	527	სტოკპორტი-დერბი	4.00	3.40	1.70	1.83	1.19	1.13
22:45	528	სტოკი-დარლინგტონი	1.45	3.70	6.50	1.04	1.18	2.35
22:45	529	სუონსი-უიკომბი	1.60	3.50	5.00	1.09	1.21	2.05
22:45	530	სუინდონი-ბრენტფორდი	2.65	3.20	2.35	1.44	1.24	1.35
		23 აგვისტო						
22:45	501	ბრაიტონი-ბოსტონი	1.50	3.60	5.50	1.05	1.17	2.17
22:30	508	ჩესტერფილდი-ვულვერჰემპტონი	3.20	3.40	1.90	1.64	1.19	1.21
22:45	521	პორტ ვეილი-პრესტონი	3.00	3.30	2.00	1.57	1.20	1.24
22:45	525	უენსდი-რექსემი	1.45	3.70	6.50	1.04	1.18	2.35
22:45	526	საუთჰემპტონი-იოვილი	1.40	4.00	6.50	1.03	1.15	2.47
22:45	531	ტორკი-ნორთვიჩი	4.70	3.50	1.60	2.00	1.19	1.09
		24 აგვისტო						
22:45	532	ლეიტონი-ვესტ ბრომვიჩი	4.20	3.40	1.65	1.87	1.18	1.11
		შოტლანდია. თასი						
		22 აგვისტო						
22:30	533	ალოა-როსი	3.70	3.40	1.75	1.77	1.18	1.15
23:45	534	ეარი-დანფერმლაინი	4.40	3.70	1.60	2.00	1.17	1.11
23:45	535	ბრეჩინი-ლივინგსტონი	3.90	3.50	1.70	1.84	1.18	1.14
22:30	536	კუდენბითი-ფოლკირკი	6.50	3.60	1.43	2.31	1.17	1.02
23:45	537	დანდი იუნაიტედი-ერდრი	1.35	4.20	6.50	1.02	1.11	2.55
23:45	538	ჰიბერნიანი-პიტერჰედი	1.14	6.00	11.00	1.00	1.03	3.88
23:45	540	მოზერუელი-პარტიკი	1.55	3.70	5.00	1.09	1.18	2.12
23:45	541	ქუინი-კილმარნოკი	5.50	3.60	1.50	2.17	1.17	1.05
23:45	542	ქუინზ პარკი-აბერდინი	11.00	5.00	1.20	3.43	1.08	1.00
23:45	543	სტ.ჯონსტონი-ელგინი	1.20	5.30	9.50	1.00	1.06	3.40
23:45	544	სტ.მირენი-სტენჰაუზმური	1.22	5.00	10.00	1.00	1.08	3.33
		23 აგვისტო						
23:45	539	ინვერნესი-დამბარტონი	1.20	5.70	9.00	1.00	1.05	3.48
		უეფა სუპერ თასი						
		25 აგვისტო						
22:45	551	ბარსელონა-სევილია	1.80	3.10	4.40	1.13	1.27	1.81

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10001	უოტფორდი-ვესტ ჰემი	3.20	2.00	2.80	1.23	1.49	1.16
10002	ტოტენჰემი-შეფილდი	1.70	2.30	6.00	1.00	1.32	1.66
10003	ასტონ ვილა-რედინგი	2.25	2.00	4.50	1.05	1.50	1.38
10004	ბლეკბერნი-ევერტონი	2.65	2.00	3.45	1.13	1.49	1.26
10005	სიტი-პორტსმუთი	2.50	2.00	3.65	1.11	1.48	1.29
10006	ჩარლტონი-მანჩესტერი	5.50	2.30	1.85	1.62	1.38	1.02
10007	ფულემი-ბოლტონი	2.90	2.00	3.05	1.18	1.48	1.20
10008	მიდლსბრო-ჩელსი	6.00	2.30	1.70	1.66	1.32	1.00
10449	მაკაბი პ-ლივერპული (ნ)	7.30	2.50	1.70	1.86	1.37	1.01
10450	ოსასუნა-პამბურგი	2.45	2.00	3.90	1.10	1.50	1.32
10451	ცრვენა ‘ვვესდა-მილანი	5.50	2.00	2.05	1.46	1.49	1.01
10452	ვალენსია-‘ალკბურგი	1.45	2.80	9.00	1.00	1.24	2.13
10453	სპარტაკი-ლიბერეცი	1.85	2.10	6.80	1.00	1.45	1.60
10454	ბოლესლავი-გალათასარაი	3.00	2.00	2.90	1.20	1.47	1.18
10455	სტიაუა-სტანდარდი	2.05	2.00	5.50	1.01	1.49	1.46
10456	ფენერბაჰჩე-დინამო კ	2.25	2.00	4.60	1.05	1.51	1.39
10457	რაბოტნიჩი-ლილი	4.50	2.00	2.15	1.38	1.45	1.03
10458	რუუომბეროკი-ცსკა(მ)	3.50	2.00	2.65	1.27	1.50	1.13
10459	აიაქსი-კოპენჰაგენი	1.70	2.30	7.00	1.00	1.36	1.73
10461	აეკ-პარისი	1.90	2.20	6.00	1.01	1.44	1.60
10462	კიევო-ლევსი	1.95	2.10	5.50	1.01	1.43	1.51
10463	არსენალი-დინამო ‘ ‘	1.35	3.30	12.00	1.00	1.21	2.58
10464	ბენფიკა-ავსტრია	1.70	2.50	7.50	1.01	1.38	1.87

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11001	უოტფორდი-ვესტ ჰემი	4.50	10.00	20.00	5.30	4.40	4.40	20.00	[illegible]	[illegible]
11002	ტოტენჰემი-შეფილდი	1.80	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11003	ასტონ ვილა-რედინგი	2.70	10.00	20.00	3.60	4.40	7.00	20.00	10.00	6.00
11004	ბლეკბერნი-ევერტონი	3.40	10.00	20.00	4.40	4.40	5.00	20.00	10.00	4.60
11005	სიტი-პორტსმუთი	3.10	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11006	ჩარლტონი-მანჩესტერი	11.00	11.00	20.00	12.00	5.00	3.50	20.00	12.00	2.00
11007	ფულემი-ბოლტონი	3.80	10.00	20.00	4.60	4.40	4.60	20.00	10.00	3.80
11008	მიდლსბრო-ჩელსი	11.00	11.00	20.00	12.00	5.00	3.50	25.00	12.00	1.80
11449	მაკაბი პ-ლივერპული (ნ)	11.00	11.00	20.00	12.00	5.00	3.50	25.00	12.00	1.80
11450	ოსასუნა-პამბურგი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11451	ცრვენა ‘ვვესდა-მილანი	8.00	10.00	20.00	8.50	4.40	3.50	20.00	10.00	2.10
11452	ვალენსია-‘ალკბურგი	1.55	15.00	30.00	3.50	5.00	11.00	20.00	11.00	11.00
11453	სპარტაკი-ლიბერეცი	2.10	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	9.00
11454	ბოლესლავი-გალათასარაი	3.80	10.00	20.00	4.60	4.40	4.60	20.00	10.00	3.80
11455	სტიაუა-სტანდარდი	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11456	ფენერბაჰჩე-დინამო კ	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	7.00
11457	რაბოტნიჩი-ლილი	8.50	10.00	20.00	8.00	4.40	3.50	20.00	10.00	2.20
11458	რუუომბეროკი-ცსკა(მ)	5.00	10.00	20.00	6.00	4.40	4.00	20.00	10.00	3.00
11459	აიაქსი-კოპენჰაგენი	1.90	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11460	ლეგია-‘ახტარი	3.80	10.00	20.00	4.60	4.40	4.60	20.00	10.00	3.80
11461	აეკ-პარისი	2.10	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11462	კიევო-ლევსი	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11464	ბენფიკა-ავსტრია	1.85	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		კი		არა
12001	უოტფორდი-ვესტ ჰემი	1.70		1.90
12002	ტოტენჰემი-შეფილდი	1.70		1.90
12003	ასტონ ვილა-რედინგი	1.70		1.90
12004	ბლეკბერნი-ევერტონი	1.70		1.90
12005	სიტი-პორტსმუთი	1.70		1.90
12006	ჩარლტონი-მანჩესტერი	1.90		1.70
12007	ფულემი-ბოლტონი	1.70		1.90
12008	მიდლსბრო-ჩელსი	1.70		1.90
12449	მაკაბი პ-ლივერპული (ნ)	1.90		1.70
12450	ოსასუნა-პამბურგი	1.60		2.00
12451	ცრვენა ‘ვვესდა-მილანი	1.70		1.90
12452	ვალენსია-‘ალკბურგი	1.90		1.70
12453	სპარტაკი-ლიბერეცი	1.70		1.90
12454	ბოლესლავი-გალათასარაი	1.90		1.70
12455	სტიაუა-სტანდარდი	1.90		1.70
12456	ფენერბაჰჩე-დინამო კ	1.90		1.70
12457	რაბოტნიჩი-ლილი	1.70		1.90
12458	რუუომბეროკი-ცსკა(მ)	1.70		1.90
12459	აიაქსი-კოპენჰაგენი	2.00		1.60
12460	ლეგია-‘ახტარი	1.60		2.00
12461	აეკ-პარისი	1.70		1.90
12462	კიევო-ლევსი	1.70		1.90
12463	არსენალი-დინამო ‘ ‘	2.00		1.55
12464	ბენფიკა-ავსტრია	1.90		1.70

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი		არა
13001	უოტფორდი-ვესტ ჰემი	1.70		1.90
13002	ტოტენჰემი-შეფილდი	1.70		1.90
13003	ასტონ ვილა-რედინგი	1.70		1.90
13004	ბლეკბერნი-ევერტონი	1.70		1.90
13005	სიტი-პორტსმუთი	1.70		1.90
13006	ჩარლტონი-მანჩესტერი	1.70		1.90
13007	ფულემი-ბოლტონი	1.70		1.90
13008	მიდლსბრო-ჩელსი	1.70		1.90
13449	მაკაბი პ-ლივერპული (ნ)	1.90		1.70
13450	ოსასუნა-პამბურგი	1.70		1.90
13451	ცრვენა ‘ვვესდა-მილანი	1.90		1.70
13452	ვალენსია-‘ალკბურგი	1.90		1.70
13453	სპარტაკი-ლიბერეცი	1.70		1.90
13454	ბოლესლავი-გალათასარაი	1.70		1.90
13455	სტიაუა-სტანდარდი	1.70		1.90
13456	ფენერბაჰჩე-დინამო კ	1.70		1.90
13457	რაბოტნიჩი-ლილი	1.70		1.90
13458	რუუომბეროკი-ცსკა(მ)	1.70		1.90
13459	აიაქსი-კოპენჰაგენი	1.90		1.70
13460	ლეგია-‘ახტარი	1.70		1.90
13461	აეკ-პარისი	1.70		1.90
13462	კიევო-ლევსი	1.70		1.90
13463	არსენალი-დინამო ‘ ‘	2.00		1.60
13464	ბენფიკა-ავსტრია	1.90		1.70

როგელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შანსი ფასდება ჩაითვლება)

14001	უოტფორდი-ვესტ ჰემი	2.00		1.80
14002	ტოტენჰემი-შეფილდი	1.20		2.60
14003	ასტონ ვილა-რედინგი	1.60		2.30
14004	ბლეკბერნი-ევერტონი	1.80		2.00
14005	სიტი-პორტსმუთი	1.70		2.10
14006	ჩარლტონი-მანჩესტერი	2.50		1.30
14007	ფულემი-ბოლტონი	1.85		1.95
14008	მიდლსბრო-ჩელსი	2.60		1.20
14449	მაკაბი პ-ლივერპული (ნ)	2.60		1.15
14450	ოსასუნა-პამბურგი	1.70		2.20
14451	ცრვენა ‘ვვესდა-მილანი	2.50		1.30
14452	ვალენსია-‘ალკბურგი	1.05		2.90
14453	სპარტაკი-ლიბერეცი	1.30		2.50
14454	ბოლესლავი-გალათასარაი	1.90		1.80
14455	სტიაუა-სტანდარდი	1.35		2.50
14456	ფენერბაჰჩე-დინამო კ	1.60		2.30
14457	რაბოტნიჩი-ლილი	2.40		1.45
14458	რუუომბეროკი-ცსკა(მ)	2.10		1.70
14459	აიაქსი-კოპენჰაგენი	1.20		2.60
14460	ლეგია-‘ახტარი	1.80		1.80
14461	აეკ-პარისი	1.30		2.50
14462	კიევო-ლევსი	1.32		2.45
14464	ბენფიკა-ავსტრია	1.12		2.80

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15001	‘უოტფორდი-ვესტ ჰემი	3.00	2.80	2.00
15002	ტოტენჰემი-‘შეფილდი	3.00	2.80	2.00
15003	ასტონ ვილა-რედინგი	3.00	2.80	2.00
15004	ბლეკბერნი-ევერტონი	3.00	2.80	2.00
15005	სიტი-პორტსმუთი	3.00	2.80	2.00
15006	ჩარლტონი-მანჩესტერი	3.00	2.80	2.00
15007	ფულემი-ბოლტონი	3.00	2.80	2.00
15008	მიდლსბრო-ჩელსი	3.00	2.80	2.00
15449	მაკაბი პ-ლივერპული (ნ)	3.00	2.80	2.00
15450	ოსასუნა-პამბურგი	3.00	2.80	2.00
15451	‘ ‘ ‘ ‘ ‘ ‘ ‘ ‘	3.00	2.80	2.00
15452	ვალენსია-‘ალკბურგი	3.00	2.80	2.00
15453	სპარტაკი-ლიბერეცი	3.00	2.80	2.00
15454	ბოლესლავი-გალათასარაი	3.00	2.80	2.00
15455	სტიაუა-სტანდარდი	3.00	2.80	2.00
15456	ფენერბაჰჩე-დინამო კ	3.00	2.80	2.00
15457	რაბოტნიჩი-ლილი	3.00	2.80	2.00
15458	რუუომბეროკი-ცსკა(მ)	3.00	2.80	2.00
15459	აიაქსი-კოპენჰაგენი	3.00	2.80	2.00
15460	ლეგია-‘ახტარი	3.00	2.80	2.00
15461	აეკ-პარისი	3.00	2.80	2.00
15462	კიევო-ლევსი	3.00	2.80	2.00
15463	არსენალი-დინამო ‘ ‘	3.00	2.80	2.00
15464	ბენფიკა-ავსტრია	3.00	2.80	2.00

ფრეს ბარეშე (ძირ დრო)

16001	უოტფორდი-ვესტ ჰემი	1.80		1.70
16002	ტოტენჰემი-‘შეფილდი	1.13		4.30
16003	ასტონ ვილა-რედინგი	1.35		2.60
16004	ბლეკბერნი-ევერტონი	1.50		2.20
16005	სიტი-პორტსმუთი	1.48		2.25
16006	ჩარლტონი-მანჩესტერი	3.50		1.20
16007	ფულემი-ბოლტონი	1.60		1.90
16008	მიდლსბრო-ჩელსი	4.00		1.15
16449	მაკაბი პ-ლივერპული (ნ)	3.90		1.12
16450	ოსასუნა-პამბურგი	1.40		2.50
16451	ცრვენა ‘ვვესდა-მილანი	3.50		1.20
16452	ვალენსია-‘ალკბურგი	1.05		5.50
16453	სპარტაკი-ლიბერეცი	1.15		3.80
16454	ბოლესლავი-გალათასარაი	1.80		1.60
16455	სტიაუა-სტანდარდი	1.23		3.20
16456	ფენერბაჰჩე-დინამო კ	1.30		2.80
16457	რაბოტნიჩი-ლილი	3.00		1.25
16458	რუუომბეროკი-ცსკა(მ)	2.10		1.50
16459	აიაქსი-კოპენჰაგენი	1.12		4.00
16460	ლეგია-‘ახტარი	1.60		1.80
16461	აეკ-პარისი	1.12		3.50
16462	კიევო-ლევსი	1.15		3.20
16463	არსენალი-დინამო ‘ ‘	1.01		6.00
16464	ბენფიკა-ავსტრია	1.11		4.50

გოლი:ფსვილი-10უ კენტი-2. (0:0 ითვლება ფსვილად)

17001	‘უოტფორდი-ვესტ ჰემი	1.85		1.95
17002	ტოტენჰემი-‘შეფილდი	1.85		1.95
17003	ასტონ ვილა-რედინგი	1.85		1.95
17004	ბლეკბერნი-ევერტონი	1.85		1.95
17005	სიტი-პორტსმუთი	1.85		1.95
17006	ჩარლტონი-მანჩესტერი	1.85		1.95
17007	ფულემი-ბოლტონი	1.85		1.95
17008	მიდლსბრო-ჩელსი	1.85		1.95
17449	მაკაბი პ-ლივერპული (ნ)	1.85		1.95
17450	ოსასუნა-პამბურგი	1.85		1.95
17451	ცრვენა ‘ვვესდა-მილანი	1.85		1.95
17452	ვალენსია-‘ალკბურგი	1.85		1.95
17453	სპარტაკი-ლიბერეცი	1.85		1.95
17454	ბოლესლავი-გალათასარაი	1.85		1.95
17455	სტიაუა-სტანდარდი	1.85		1.95
17456	ფენერბაჰჩე-დინამო კ	1.85		1.95
17457	რაბოტნიჩი-ლილი	1.85		1.95
17458	რუუომბეროკი-ცსკა(მ)	1.85		1.95
17459	აიაქსი-კოპენჰაგენი	1.85		1.95
17460	ლეგია-‘ახტარი	1.85		1.95
17461	აეკ-პარისი	1.85		1.95
17462	კიევო-ლევსი	1.85		1.95
17463	არსენალი-დინამო ‘ ‘	1.85		1.95
17464	ბენფიკა-ავსტრია	1.85		1.95

კადეტთა დივიზი: ჩვენც ერთი გუნდი ვართ

ქართული კალათბურთის აღმასვლა სახეზეა და ეს აზრი კადეტთა ნაკრებმაც გაამყარა — ჩვენმა 16-წლამდელებმა ტალინში გასრულებულ ევროსაკვალიფიკაციო ტურნირზე ორი ჯგუფური ეტაპი დაძლიეს, ნახევარფინალიდანაც გაიღწიეს და რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ ელიტარულ გუნდთა მარაქას დაუბრუნდნენ.

კადეტთა ნაკრები ქართველებს ყოველთვის ძლიერი გვყავდა. ეგაა, ბოლო წლებში დაგვეჩაგრნენ ცოტა 16-წლამდელები. ჩვენი კადეტები შარშანწინ გამოემშვიდობნენ A დივიზიონს და შარშან სულ ცოტა დააკლდათ იქ დასაბრუნებლად. წლეულს კი ისახელეს თავი და მათი ელიტაში დაბრუნებაც კანონზომიერია.

ერთი თვის წინ A დივიზიონის საგზური მოიპოვა ახალგაზრდულმა ნაკრებმაც, რომელსაც წლების წინ, კადეტთა ასაკში ყოფნისას, ევროპის ჩემპიონატზე უთამაშია და თავიც უსახელებია. 1986-წლიანებმა ერთხელაც გაიბრწყინეს, A დივიზიონში ადგილი დაიბრუნეს და ასაკობრივ ნაკრებს დაემშვიდობნენ.

ლევან შენგელია (№11) ფარქვეშ კედელივით იდგა

კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა მერაბ რატიშვილმა თქვა, თუ ახალგაზრდული ნაკრებისგან A დივიზიონის საგზურს არ ველოდით, კადეტებისგან ზედა ეშელონში ანაცვლებას ვითხოვდითო. 3 წელია, ამ თაობის კადეტები ერთი შემადგენლობით თამაშობენ, კარგი მოსამზადებელი პერიოდიც გაიარეს და A დივიზიონში აუცილებლად უნდა გადასულიყვნენო.

ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გუნდი მართლაც კარგად მოემზადა ტალინურ ტურნირისთვის. შეჯიბრის დაწყებამდე 2 თვით ადრე შეიკრიბა და საბერძნეთშიც ითამაშა საკონტროლო მატჩები. ბალტიისპირეთშიც შესანიშნავ ფორმაში ჩავიდა და პირველივე მატჩში მასპინძელი ესტონეთი მიანგრია.

ჩერქეზიშვილის გუნდმა ესტონეთში სულ 9 მატჩი გამართა და აქედან მხოლოდ სამი წააგო. ბოლო შეხვედრას, ჩეხებთან ფინალს, A დივიზიონში გადასვლის კუთხით მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ალბათ, ამიტომაც იყო, ჩვენებმა დიდი ანგარიშით რომ წააგეს „საჩემპიონო“ მატჩი.

არც პირველი მარცხია აინუნში ჩასაგდები, რადგან შვედებთან მატჩამდე ქართველებს პირველ ჯგუფურ ეტაპზე სამიდან სამი შეხვედრა ჰქონდათ მოგებული და ჩერქეზიშვილიც სკანდინავიელებთან ძირითადად მეორე შემადგენლობას დაეყრდნო.

ახალგაზრდებისგან განსხვავებით, კადეტებმა უფრო გუნდური თამაშით მიაღწიეს წარმატებას. თუ 20-წლამდელების ლიდერი ვიქტორ სანიკიძე იყო, 16-წლამდელებს გამოკვეთილი წინამძღოლი არ ჰყოლიათ — ლევან შენგელია და ვაჟა მეტრეველი კი გამოირჩეოდნენ, მაგრამ სხვებიც არ აკლებდნენ ხელს საერთო საქმეს.

ქართველები ტალინში განსაკუთრებით არაფერში გამოირჩნენ — თამაშის ყველა კომპონენტში ნორმალურ დონეზე იყვნენ და დაბალანსებული გარჯით მიაღწიეს ამ შედეგს.

თავად განსაჯეთ — ერთადერთი სათამაშო კომპონენტი, რაშიც ჩერქეზიშვილის გუნდმა ყველას აჯობა, შესრულებული და ჩაგდებული საჯარიმო სროლების ოდენობაა. ქულებში, მოხსნებში, ჩაჭრებში, ჩაგდებული ბურთების პროცენტულობასა თუ სხვა ნებისმიერ სათამაშო კომპონენტში ქართველი კადეტები ოთხეულშიც ვერ შევიდნენ. ანუ საქართველო რიგ გუნდებზე კარგად ბურთს ვერც ხსნიდა, ვერც ჭრიდა, ვერც აგდებდა, ვერც აფარებდა, მაგრამ ფინალში მაინც გავიდა. დასკვნა: საქართველო თამაშობდა გუნდურად, ყველა კომპონენტში ნორმალურ დონეზე და შედეგიც ამის დამსახურებაა.

ხოლო ის, რომ ქართველებმა ყველაზე მეტი ბურთი ესროლეს საჯარიმო ხაზიდან, ჩვენი მეფარეებისა და ფეხმარდი უკანახაზელების აქტიურობის დამსახურებაა. 210-სანტიმეტრიან ვაჟა მეტრეველს მეტოქეები ჯარიმით თუ აჩერებდნენ, თორემ ისე იგი ძირითადად შედეგიანად აგვირგვინებდა შეტევას. თუკი ვინმემ ისახელა ჩვენიანთაგან თავი სტატისტიკაში, ეს ვაჟა მეტრეველია. ის ევროსაკვალიფიკაციო ტურნირზე მეორე კალათბურთელი იყო თამაშიდან ჩაგდებული ბურთების პროცენტულობაში. პირველი გახლდათ ჩეხი იან ვესიელი, რომლის სროლათა ლამის 70 პროცენტმა უწია მიზანს. მეტრეველმა კი 60 პროცენტი გამოიყენა.

სტატისტიკურ ლიდერებში გაერია ალეკო ძიძიგურიც, რომელიც საშუალოდ მატჩში 3,4 პასს აგროვებდა და ამ მაჩვენებლით ტალინში მესამე იყო.

მეტრეველმა და შენგელიამ მოხსნებში მეოთხე-მეხუთე ადგილები გაინაწილეს. პირველს 10,3 დაუგროვდა, მეორეს — 9,7.

ერთი სიტყვით, კადეტებმა ტალინში გუნდურად ითამაშეს და ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველები ნელ-ნელა ითავისებენ კალათბურთის მთავარ პრინციპს — საქართველოს ხომ მუდამ ჰყავდა ყოჩაღი ბიჭები, რომლებიც კლუბებში მაგრები იყვნენ და ერთად თამაში არ იცოდნენ.

ირაკლი პერტაია

ვაჟა მეტრეველს მოხსნების ალღომ არ უმტყუნა

ყველა თამაში

პირველი ჯგუფური ეტაპი	
საქართველო 90:77	ესტონეთი
საქართველო 62:61	ავსტრია
საქართველო 75:71	ნორვეგია
საქართველო 73:80	შვედეთი
მეორე ჯგუფური ეტაპი	
საქართველო 72:44	ინგლისი
საქართველო 65:70	ჩეხეთი
საქართველო 64:60	ფინეთი
ნახევარფინალი	
საქართველო 71:65	ავსტრია
ფინალი	
საქართველო 54:67	ჩეხეთი

	თ	წთ	2-ქ	%	3-ქ	%	საჯ.	%	მ.ფ	ს.ფ	სულ	პს.	ჯარ.	დაკ.	ჩჭ.	დაფ.	ქ.	ქ.სშ.
ვაჟა მეტრეველი	8	227	47/75	62.7	0/3	0.0	38/54	70.4	23	59	82	3	22	20	9	6	132	16.5
ლევან შენგელია	9	261	51/121	42.1	1/6	16.7	40/77	51.9	39	48	87	30	34	51	19	16	145	16.1
ალეკო ძიძიგური	7	241	17/40	42.5	6/33	18.2	20/32	62.5	5	24	29	24	26	22	21	3	72	10.3
ტატო ჩაჩიბაია	9	276	20/45	44.4	6/30	20.0	13/15	86.7	19	42	61	16	16	16	11	2	71	7.9
დავით მაისურაძე	8	177	17/34	50.0	0/5	0.0	27/38	71.1	18	33	51	2	12	17	8	5	61	7.6
გიგი ბარბაქაძე	9	205	13/32	40.6	8/35	22.9	6/19	31.6	6	19	25	9	16	12	7	3	56	6.2
გიორგი ჯგერენაია	7	95	15/30	50.0	3/4	75.0	1/8	12.5	11	13	24	1	16	17	8	5	40	5.7
გიორგი ნანიტაშვილი	9	172	2/7	28.6	7/23	30.4	3/4	75.0	2	10	12	6	15	18	5	0	28	3.1
გიორგი შარაბიძე	5	32	2/8	25.0	0/0	0.0	5/5	100.0	2	1	3	0	4	1	0	4	9	1.8
ტარიელ თავართქილაძე	8	110	3/6	50.0	2/7	28.6	0/1	0.0	2	5	7	7	7	7	6	2	12	1.5
დიმიტრი გასიტაშვილი	2	21	0/3	0.0	0/0	0.0	0/0	0.0	0	0	0	2	3	3	0	0	0	0.0
ლაზარე გალდავა	2	4	0/0	0.0	0/0	0.0	0/0	0.0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0.0

თ— თამაში; წთ —წუთი; 2-ქ — ორქულიანი; 3-ქ — სამქულიანი; საჯ.— საჯარიმო; მფ. — მეტოქის ფარზე მოხსნა; სფ. — საკუთარ ფარზე მოხსნა; პს. — პასი; ჯარ. — ჯარიმა; დაკ. — დაკარგვა; ჩჭ. — ჩაჭრა; დაფ. — დაფარება; ქ. — ქულა; ქ. სშ. —ქულები საშუალოდ

მსოფლიოს ჩემპიონატი 2006. იაპონია. 19 აგვისტო - 3 სექტემბერი

არგენტინამ ვენესუელას სული ამოხადა

21 აგვისტო

A ჯგუფი

არგენტინა 96:54 ვენესუელა

არგენტინა: ჰერმანი (25), სკოლა (17), ვოლკოვისკი (11), ობერტო (10)

ვენესუელა: ლუგო (15 ქულა, 10 მოხსნა)

სერბეთი 104:57 ლიბანი

სერბეთი: მილიჩიჩი (18), ასკრაბიჩი (16), ტრიპკოვიჩი (13), რაიჩევიჩი (12) მარინოვიჩი (12), პოპოვიჩი (11), ავდალოვიჩი (11)

ლიბანი: ელ ხატიბი (12), ფეგჰალი (11)

საფრანგეთი 64:53 ნიგერია

საფრანგეთი: გელაბალე (14)

ნიგერია: მუდოკა (17), მუენეკე (14)

მსოფლიოს ჩემპიონებსაც ელირსათ გამარჯვება. ნიგერიასთან (!) და საფრანგეთთან წაგების შემდეგ სერბებმა ლიბანელები მოიხელთეს და იმ საწყლებს მშობლიური ბეირუთივით მიუნგ-მოუნგრიეს დაცვაც და შეტევაც.

გამოცოცხლდა ნბა-ში 3 წელი ვერგაცოცხლებული სერბი ცენტრი დარკო მილიჩიჩი, ნახეთ, მეც შემიძლია თამაშიო, და 18 ქულა ჩაუგდო ლიბანელებს. მის კვალად კიდევ ექვსმა სერბმა გაახერხა 10-ზე მეტი ქულა. ბალკანელებმა პირველივე წუთებიდან დაიწყეს ლიბანელთა დაბომბვა, პირველი მეოთხედი 12 ქულით მოუგეს, მეორე 10-ით, მესამე 14-ით და მეოთხე 11-ით. 12 სამქულიანი ყუმბარაც უთავაზეს. მოკლედ, ჯავრი ამ საწყლებზე იყარეს, აქაოდა, საფრანგეთი კია ძლიერი, მაგრამ ნიგერიელებთან წაგება ბრმა შემთხვევა იყო და ჩვენს ქვეყანაში ჯერ არ დაგვიწყებია კალათში ბურთის ჩაგდებაო.

ლიბანელები მორჩილად იტანდნენ ყოველ ყუმბარა-ბურთს, თავიდანვე მიხვდნენ, რომ აქ არაფერი გამოუვიდოდათ და ძალები მათთვის ისტორიული მნიშვნელობის მატჩისთვის შეინახეს. ლიბანელებმა უკვე დააჩოქეს ვენესუელა, ხუთშაბათს ნიგერიას ხვდებიან და თუ მოუგეს და ჯგუფში ჩამორიგებულ კარტშიც მოგება-წაგებები კარგად დაუჯდათ, იქნებ ოთხეულში და შესაბამისად მერვედფინალში გასხლტომაც კი მოახერხონ.

ისე კი, მერვედფინალში თამაში არც სერბებს აქვთ გარანტირებული — არგენტინის მძლეველები ესენი არ ჩანან, ხოლო ვენესუელას დამარცხება თუ ეყოფა მერვედფინალს, ეს ჯერ არაა გაცხადებული.

სერბების არ იყოს, არც არგენტინამ დაინდო მეტოქე — თანაკონტინენტელ ვენესუელას შავი დღე აყარა და ცოტაღა დააკლდა, ორმაგი სხვაობით რომ მოეგო. ყველაფერი აქეთაც მიდიოდა, ოლიმპიური ჩემპიონები ჯერ 20:10 იგებდნენ, შემდეგ 40:20 დაწინაურდნენ, ბოლო მეოთხედის დასაწყისში კი 80:40 ჩამოიტოვეს ბეჩავი მოწინააღმდეგეები, მაგრამ შემდეგ, როგორც ჩანს, მობეზრდათ ასე ჭენება, ბავშვები ხომ არ არიან, ციფრებზე გადაირიონ, ჰოდა, სადაველებიც მიუშვეს.

ესეც სათქმელია, რომ არგენტინამ ვენესუელა ძირითადად სათადარიგო მოთამაშეებით შემუსრა. მათმა თავკაცმა სერხიო ერნანდესმა თითქმის მთელი სასტარტო ხუთეული დაასვენა, მხოლოდ ფაბრიციო ობერტო ათამაშა 27 წუთით, სხვათა სათამაშო დრომ კი ერთი სრული ტაიმიც არ შეადგინა: მანუ ჯინობილი — 16 წუთი; ლუის სკოლაც — 16; ხუან სანჩესი — ასევე 16; ანდრეას ნოჩიონი — 13. სკოლამ ამ 16 წუთში 17 ქულის მოხვეჭა მოასწრო, ხოლო სათადარიგო ვალტერ ჰერმანმა 25 ქულა 27 წუთში უთავაზა ვენესუელელებს.

მოკლედ, ოლიმპიურმა ჩემპიონებმა მთელი 40 წუთი ლამის ღიღინით გალიეს, ერთი მაშინ გადაუტრიალდათ გული, მათმა ნბა-ელმა ვარსკვლავმა ანდრეას ნოჩიონმა მეტოქეს ფეხზე რომ დააბიჯა, კოჭი გადაუტრიალდა და მოედნიდან სხვისი დახმარებით გავიდა, მაგრამ ექიმებმა ქომაგობა დააშვიდეს, სერიოზული არაფერია, ნოჩიონი თავისას კიდევ ითამაშებსო.

ჯგუფის მესამე მატჩზე ბევრს ვერას მოგახსენებთ, ბრძოლა არც აქ ყოფილა, ფრანგებმა კატასტროფულად არა, მაგრამ დამაჯერებლად გამოუყვანეს წირვა მეტოქეს და პრაქტიკულად გაინაღდეს პლეი ოფი. თუმცა ნიგერია მაინც იდგა კატასტროფის პირას — ფრანგებმა მათ პირველ ტაიმში სულ რაღაც 15 ქულის ჩაგდების უფლება უბოძეს, 8 პირველ და 7 მეორე მეოთხედებში გააკეთებინეს. საკითხავი ისაა, ასეთ გუნდებს რა უნდათ მუნდიალზე? თავადვე გიპასუხებთ — უნდათ, მაგალითად, სერბეთის მსგავსი გუნდების დამარცხება და აგერ, გამოუვიდათ კიდეც.

AFP

სერბებმა ნატანჯ ლიბანს ხელი არ დააკლეს

კოტე ყორღანია

არგენტინა	3	0	+87	6
საფრანგეთი	2	1	+5	5
სერბეთი	1	2	+36	4
ნიგერია	1	2	-11	4
ვენესუელა	1	2	-45	4
ლიბანი	1	2	-72	4

ესპანურ ექსპანსია

მსოფლიოს ფითელი ეშმაკი დაემუქრა



AFP

ხორხე გარბახოსამ გერმანიას დიოკ ნოვიცკი გაუშვა

B ჯგუფი

ესპანეთი 92:71 გერმანია

ესპანეთი: კალდერონი (20), ნავარო (19), გასოლი (16), გარბახოსა (12)

გერმანია: ნოვიცკი (14), გრინი (14), ჰერბერი (10)

ანგოლა 95:73 ახალი ზელანდია

ანგოლა: მინგასი (27 ქულა, 12 მოხსნა), გომეში (20), კარვალიო (12)

ახალი ზელანდია: კემერონი (17), პენი (15), ჯონსი (11)

იაპონია 78:61 პანამა

იაპონია: ივარაში (18), ორიმო (13), საკურაი (12), ტაკეუჩი (11)

პანამა: დუგლასი (16)

გერმანიამაც ვერ დაამტვრია რქები „წითელ ეშმაკებს". ესპანელებს ჯერ არ მიუღიათ ეს მეტსახელი, მაგრამ ისე ჯოჯოხეთურად ბურთაობენ, ალალად იმსახურებენ მეტსახელსაც და რაიმე ფერის მედალსაც. გერმანიას ჰქონდა ესპანეთის ძლევის შანსი — ნოვიცკის ისე რომ დაეხაზა, როგორც ნბა-ს პლეი ოფში ხაზავს, ჭრის და კერავს და თანაგუნდელებიც შეეფხიზლებინა, იქნებ რამე გამოსულიყო, მაგრამ „იქნებობით" ვერაფერი იქმნება და ტაბლომ ერთი გუნდის მეორეზე უპირატესობა შესაფერისი სხვაობთაც ასახა.

ნოვიცკის რომ ბევრი არაფერი გამოუვიდა, ეს პირველ რიგში სწორედაც რომ ესპანელთა დამსახურებაა. წლების განმავლობაში ევროპის ერთ-ერთმა უძლიერესმა მეფარემ, სულ ორიოდ კვირის წინ კი ნბა-ს გუნდ „ტორონტოში" ჩარიცხულმა ხორხე გარბახოსამ, ხელ-ფეხი გაუკრა გერმანელ მეგავარსკვლავს და 35 წუთში 14 ქულას დააჯერა, რითაც ლომის წილი დაიდო მისი გუნდის განადგურებაში, რაკი გერმანიის ნაკრები ნოვიცკის ქულების გარეშე ვარსკვლავებს ვერ ეთამაშება.

ვარსკვლავები კი ესპანეთში კაშკაშებენ. პირინეელთა უკანახაზელებმა — ვერცხლისწყალა მსროლელმა ნავარომ და იმავ „ტორონტოში" ერთი წლის წინ მისულდაფუძნებულმა კალდერონმა პირდაპირ აიკლეს მეტოქის დაცვა, გინდა, შორიდან ნასროლი ჭურვებით, გინდა, პარტიზანული გარღვევა-გაძრომებით. ამათ ფონზე ყველაზე სახელგავარდნილი ესპანელი კალათბურთელი პაუ გასოლი ოდნავ ინერტულიც კი ჩანდა და ეს რომ ფორმაში ჩადგება, შიში შეგეპარება, იმდენად მძლავრი შეიძლება იყოს ეს გუნდი.

ზევით გერმანელთა შანსი ვახსენეთ. მათ მართლაც ჰქონდათ თამაშის გარდატეხის საშუალება. მთელი შეხვედრა აგებდნენ, პირველ ტაიმში 11 ქულითაც, დიდ შესვენებაზე კი 7-ქულიანი ჩამორჩენით წავიდნენ. მესამე მეოთხედი რომ დაიწყო, ისინი ერთ ხანს 50:51 წამოეპარნენ პირინეელებს, თანაც ბურთსაც ფლობდნენ, მაგრამ ის შეტევა ვერ გამოიყენეს და მწარედაც დაისაჯნენ. ესპანელებმა ზედიზედ რვა ქულა მიითვალეს, შემდეგ ოდნავ შეისვენეს და მესამე მეოთხედის ბოლოს და მეოთხეში ისე დაბომბეს გერმანელები, ისედაც ესპანურ ზონურ დაცვაში გაჭედილი ნოვიცკელები სულ ვეღარ გაიმართნენ წელში.

ამ მატჩმა ფაქტობრივად გამოავლინა B ჯგუფის გამარჯვებული. გერმანია მეორე ადგილისთვის ანგოლას შეხვდება, რომელმაც ორი აუტსაიდერის შემდეგ საშუალო გაქანების ახალი ზელანდიაც მოანგრია და პროგრამა მინიმუმიც შეასრულა, მეოთხედფინალში რიხინრიხინით გავიდა. ანგოლელთა ხლაპარ-ამბები ნუ გაგიკვირდებათ — აფრიკის საუკეთესო გუნდი ოლიმპიადა-მუნდიალების მუდმივი მონაწილეა და მსოფლიო ელიტაშიც თანდათან იმკვიდრებს არცთუ მოკძალებულ ადგილს.

ჯგუფის მესამე მატჩში სუსტმა იაპონიამ არ გაუშვა შანსი და უფრო სუსტი პანამა დასცა. პირობას გაძლევთ, ეს იყო მასპინძელთა პირველი და უკანასკნელი გამარჯვება მუნდიალზე.

კოტე ყორღანია

ესპანეთი	3	0	+81	6
ანგოლა	3	0	+60	6
გერმანია	2	1	+14	5
იაპონია	1	2	-17	4
ახ. ზელანდია	0	3	-62	3
პანამა	0	3	-74	3

რუმინეთიდან გერმანიაში

ლადო ჩიხლაძე ევროპაში მოგზაურობს

ბადრი კეთილაძის ფოტო

საქართველოს მეორე ჩოგანმა ლადო ჩიხლაძემ რუმინული არადის თიხაზე ITF-ის ეგიდით გამართული ტურნირის ნახევარფინალს უწია და იქ წააგო პირველ ნომრად განთესილ მასპინძელთან ვიკტორ იონიტასთან.

პირველ წრეში ლადომ, რომელიც თავის მხრივ მეოთხე ნომრად იყო განთესილი, იოლად აჯობა რუმინელ ადრიან ვოდისლავს — 6:1 6:2. მეორე წრეში ქართველს, უკვე სამი სეტი დასჭირდა გერმანელი კალინ პაარის დასამარცხებლად — 7:5 4:6 6:4. მეოთხედფინალში ლადომ კიდევ ერთ მასპინძელს, მე-7 ნომრად განთესილ არტემონ ავოსტუ-ეფრემოვს მოუგო, მაგრამ ნახევარფინალში იონიტას ვეღარაფერი მოუხერხა. საბოლოოდ ტურნირი სწორედ ამ იონიტამ მოიგო — ფინალში უკრაინელ ივან სერგიევს 6:4 6:3 აჯობა.

რუმინეთიდან ჩიხლაძემ გერმანიაში გადაინაცვლა და ამ კვირაში მიუნხენ-უნტერფორინგის თიხაზე ითამაშებს და, სავარაუდოდ, მესამე ნომრად იქნება განთესილი.

კაცები

განთესვის რეიტინგი

1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	7295
2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი)	4625
3. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია)	3315
4. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)	3155
5. ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	2265
6. ტომი რობრედო (ესპანეთი)	2200
7. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი)	2085
8. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი)	1917
9. რადეკ სტეფანეკი (ჩეხეთი)	1915
10. ენდი როდიკი (აშშ)	1890
11. ფერნანდო გონსალესი (ჩილე)	1850
12. მარიო ანჩიჩი (ხორვატია)	1835
13. დავიდ ფერერი (ესპანეთი)	1745
14. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი)	1660
15. იარკო ნიემინენი (ფინეთი)	1610
16. ტომი ჰაასი (გერმანია)	1525
17. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია)	1515
18. ხუან-კარლოს ფერერო (ესპანეთი)	1330
19. ენდი მიურეი (ბრიტანეთი)	1300
20. ნიკოლას კიფერი (გერმანია)	1275

საჩემპიონო რბოლა

1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	1124
2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი)	775
3. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია)	415
4. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)	363
5. ტომი რობრედო (ესპანეთი)	344
6. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი)	325
7. მარიო ანჩიჩი (ხორვატია)	318
8. ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	215
9. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი)	310
10. ენდი როდიკი (აშშ)	294
11. დავიდ ფერერი (ესპანეთი)	269
12-13. ტომი ჰაასი (გერმანია)	268
12-13. რადეკ სტეფანეკი (ჩეხეთი)	268
14. ფერნანდო გონსალესი (ჩილე)	265
15. იარკო ნიემინენი (ფინეთი)	249
16-17. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი)	214
16-17. ენდი მიურეი (ბრიტანეთი)	214
18. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია)	213
19. ხუან-კარლოს ფერერო (ესპანეთი)	208
20. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)	199

გუშინ გამოქვეყნებულ ATP-ის ახალ რეიტინგში ლადომ ოთხი საფეხურით უკან დაიხია და 55 ქულით 489-ე ადგილზეა. რაც შეეხება საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელს ირაკლი ლაბაძეს, ვინც დევისის თასზე პოლონელებთან მატჩისას მიღებული ტრავმის გამო ჯერაც უქმობს, მას იგივე 161-ე პოზიცია უკავია 258 სარეიტინგო ქულით. უცვლელია ლაბაძის მდგომარეობა ATP-ს საჩემპიონო რბოლაშიც — ირაკლი 33 ქულით 105-ე ადგილზეა.

სწორედ ის ენდი როდიკი...

კაცები. მასტერსი
ცინცინატი. აშშ. ჰარდი.
საპრიზო 2 450 000 $

ფინალი
ენდი როდიკი (9, აშშ) — ხუან-კარლოს ფერერო (ესპანეთი) 6:3 6:4

ქალები
მონრეალი. კანადა. ჰარდი.
საპრიზო 1 340 000 $

ნახევარფინალი
ანა ივანოვიჩი (13, სერბეთი) — დინარა საფინა (9, რუსეთი) 6:1 6:4

შვებით ამოისუნთქეს ამერიკელებმა, რადგანაც წლის უკანასკნელ სლემტურნირს, რომელიც ნიუ იორკში 6 დღეში დაიწყება, ამიერიდან გულდამშვიდებულნი შეხვდებიან. იანკებს ეს შედარებითი სიმშვიდე ენდი როდიკმა მოუტანა. ამის მიზეზი ერთია — ამერიკელებს უკვე სერიოზული იმედი აქვთ, რომ თავის თანამემამულეს ტიტულისთვის მეომართა შორის ნახავენ. დიადია ფედერერი, ძალიან ნიჭიერია ნადალი, მაგრამ ამათი ბატალიების ყურება ნაკლებად ანაღვლებთ იქაურებს. იანკურ გულს ხომ მაინც თავისიანის ტრიუმფის ხილვა გაახარებს.

ახლა ამერიკელებს თავიანთი გმირი, ენდი-ბოი დაუბრუნდათ და დამდეგ სლემტურნირს მშვენიერ ფორმაში ხვდება. არა, იანკები არც როდიკის გარეშე იყვნენ მთლად უიმედონი, რადგანაც მათ ჯეიმს ბლეიკიც ჰყავთ, მხცოვანი პროფესორი ანდრე აგასიცა და კიდევ ათეულამდე სხვა ჩოგნის მქნეველსაც მოძებნიან, რომლებსაც მშობლიურ კორტებზე ნებისმიერის დამარცხება ხელეწიფებათ. მაგრამ იანკური გული მაინც როგორღაც უფრო დამშვიდებული მაშინაა, როცა მათ გმირად ქცეული, ეს ჰოლივუდის ვარსკვლავის შესახედაობის მქონე ბიჭი ჩოგნაობის იშტაზეა მოსული.

ეს კი იმიტომ, რომ ამერიკელებს ჯერაც კარგად ჩაბეჭდვიათ მეხსიერებაში 2003 წლის მიწურული — პერიოდი როცა როდიკი ყველას სულ სიცილ-კისკისით უსწორდებოდა. მაშინ ენდი-ბოიმ მიყოლებით მოიგო ტორონტოსა და ცინცინატის მასტერსები, მერე კი აშშ-ს ღია პირველობაც ზედ მიაყოლა და წელიწადი პირველად და ჯერჯერობით უკანასკნელად გაასრულა რეიტინგის სათავეში. გუშინ გამთენიისას თავისი მესამე ცინცინატური ტრიუმფის შემდეგ კი როდიკმა ყველას უკვე ნანახის გამეორების იმედი ჩაუსახა.

ისედაც, ცინცინატიში, 10 000 ამერიკელის თვალწინ ენდი-ბოის წაგების უფლება არ ჰქონდა. თან თამაში ჰარდზე იყო, სადაც როდიკი პირნეელთან შედარებით ლომია.

ფინალში როდიკი ერთი თავით სჯობდა მეტოქეს და დამსახურებულადაც მოიგო. თვითონ ამერიკელისთვის უმთავრესი კი ალბათ ისაა, რომ ერთბაშად რამდენიმე კომპონენტში გამოიყურებოდა სოლიდურად. ხოლო როცა დასჭირდა, მძიმე არტილერიაც ჩართო და წლიულს პირველი ტიტულიც გაინაღდა. ეს მეორე სეტში მოხდა, როცა 5:1 დაწინაურებელ როდიკს ცოტა ხნით ჩასთვლიმა და ფერერიც მაქსიმალურად მიუახლოვდა. აქ ენდი-ბოიმ ზედიზედ სამი ეისი გაახერხა და... გამარჯვებით გაბრუებულმა ჯერ ბევრი ირბინა, შემდეგ კორტს დაეკონა, ბოლოს კი მაყურებელს ლამის მთელი ამუნიცია გადაუყარა. აი, ეგეთია შმაგი იანკური სიხარული.

მონრეალში კი ფინალი ჯერაც წინ გველის. ყველაფერი წვიმის ბრალია, რომელმაც ანა ივანოვიჩსა და დინარა საფინას კვირას გამთენიისას ფინალისტის ვინაობის გარკვევა არ დაანება. კორტიდან გასვლის მომენტისთვის სერბს

AFP ცინცინატიდან

პირველი სეტი მოეგო, მეორეში კი 3:4-ს აგებდა.

თუმც გუშინ ივანოვიჩმა არ ისურვა საქმის შორს გადადება, 12 წუთში ზედიზედ სამი გეიმი ასწაპნა რუსს და კარიერაში მეორე ფინალსაც უწია. აქ ბალკანელი მარტინა ჰინგისს დაეტაკება და, წესით, ისეთივე ლამაზი და კოხტა თამაში უნდა გამოვიდეს, როგორებიც თვითონ ფინალისტები არიან.

ქაჯა ლომაშვილი

ცურვა

AFP ფოტოსურათიდან

მაიკლ ფელპსმა სამ დღეში სამი რეკორდი დაამყარა

მესამე დუბლეტი

ამერიკელები რეკორდებს წყვილ-წყვილად ამყარებენ

მოცურავეები, ჩვეულებრივ, ოლიმპიური თამაშების მოახლოებასთან ერთად სულ უფრო მეტ სისწრაფეს ავითარებენ და მსოფლიოს რეკორდებსაც საკმაოდ ამხობენ. ამის დასტურია თუნდაც კანადის ქალაქ ვიქტორიაში მიმდინარე წყნარი ოკეანის ქვეყნების ჩემპიონატი, სადაც მსოფლიო ცურვის ლიდერი ამერიკელებიც გამოდიან.

ამ შეჯიბრების ყოველ დღეს ორ-ორი მსოფლიოს რეკორდი მოაქვს, მათი ავტორები კი სწორედ ამერიკელები არიან.

როგორც ვიუწყებოდით, ამერიკელებმა ოთხი მსოფლიოს რეკორდი დაამყარეს, გუშინ კი ასეთი სიხარული კიდევ ორჯერ განიცადეს. მათგან ყველაზე მეტად ხარობს ათენის ოლიმპიური თამაშების ექვსგზის ჩემპიონი მაიკლ ფელპსი, რომელმაც ამ ჩემპიონატში მესამე მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. 200 მეტრზე ბატერფლაით და 4X100მეტრზე თავისუფალი სტილით მსოფლიოს რეკორდების დამყარების მერე გუშინ მან ასეთივე შედეგი აჩვენა 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — 155,84 და სამი წლის წინანდელი თავისივე მიღწევა (155,94) გაუუჯობესა.

ფელპსის თანაგუნდელმა ბრენდან ჰანსენმა 200 მეტრზე ბრასით ასევე თავისივე მსოფლიოს რეკორდი (2.08,74) დაამხო — 2.08,50.

„იქნებ ვინმე ფიქრობს, რომ მსოფლიოს რეკორდებს პანტაპუნტით და იოლად ვამყარებთ, მაგრამ ეს ასე არაა — ამბობს ბრენდან ჰანსენი — იმისთვის, რომ თქვენ ჩვენი მსოფლიოს რეკორდების დამყარება გეხილათ, კაი გვარიანი ოფლის ღვრა დაგვჭირდა“.

ბატონი ახალ ცხოვრებას იწყებს

AFP

ინგლისელ მეფორმულე ჯენსონ ბატონის ცხოვრებაში 2006 წლის 6 აგვისტო სამუდამოდ დარჩება ერთ-ერთ ყველაზე ღირსშესანიშნავ თარიღად.

იმ დღეს ბუდაპეშტში ასრულდა მისი მეორე ავტოოცნება, როგორც იქნა (112 ეტაპის შემდეგ) პირველი დიდი პრიზი მოიგო და „სამეფო რბოლების" 57-წლიან ისტორიაში 96-ე მძღოლი გახდა, ვინც ეს შეძლო.

ჯენსონის პირველი ოცნება სწორედ პირველ ფორმულაში მოხვედრა იყო, მესამეს კი, ვფიქრობთ, დაკონკრეტება არ სჭირდება...

ბატონი „მაკლარენის" ბოსმა რონ დენისმა „აღმოაჩინა", როცა 1998 წელს ფორმულა 3-ში მოჯირითე 18 წლის ბიჭი ამ გუნდის მიერ საუკეთესო ახალგაზრდა მრბოლისთვის დაწესებული პრიზის მფლობელი გახდა და თანამემამულე შეფმაც ქათინაური არ დაიშურა:

„დაიმახსოვრეთ ეს სახელი. ჯენსონ ბატონს დიდი პილოტისთვის აუცილებელი ყველა მონაცემი აქვს და დარწმუნებული ვარ, სამ წელიწადში მყარად დაიმკვიდრებს „სამეფო რბოლებში" ადგილს.

ტალანტების ჰოვნაში ზეგამოცდილმა სერ ფრენკ უილიამსმაც მაშინვე აუღო ალღო ვითარებას, სამი წლის გასვლას არ დაელოდა და ჯენსონი თავის საჯინიბოში მიიწვია.

2000 წლის 12 მარტს შედგა მსოფლიოს ჩემპიონატებში ყველაზე ახალგაზრდა ბრიტანელი პილოტის დებიუტი. ავსტრალიაში რბოლისას ბატონი მხოლოდ 20 წლის და 53 დღის იყო. ამ მხრივ იგი საპირველფორმულო ისტორიაში მეხუთე მძღოლი გახდა. უკვე თავის მეორე ეტაპზე ბრაზილიაში, ფინიშთან მეექვსე მივიდა და პირველი საკარიერო ქულაც მიითვალა. სულ კი ეს ექვსჯერ შეძლო და საბოლოოდ სადებიუტო სეზონი 12 ქულით ფრიად საპატიო მერვე ადგილზე დაასრულა.

წარმატების მიუხედავად, ჯენსონს „უილიამსის" დატოვება მოუხდა, რადგან კარგა ხნით ადრე იყო ცნობილი, რომ გუნდში ამერიკული „ინდიკარიდან" მოდიოდა იქაური ტიტულებით დახუნძლული ხუან-პაბლო მონტოია. ნიჭიერი და სწრაფი მრბოლი უმუშევარი არ დარჩენილა და ბატონმა რამდენიმე შეთავაზებიდან არჩევანი „ბენეტონ-რენოზე" შეაჩერა, სადაც 5 მილიონ დოლარიანი კონტრაქტი შესთავაზეს.

ორი უხეირო სეზონის (მე-17 და მე-7 ადგილები) შემდეგ ჯენსონს ახალი საჯინიბოს ძებნა მოუხდა:

„რამდენიმე წინადადება მქონდა, მაგრამ „BAR-ჰონდა" ვარჩიე, რადგან აქ პროფესიონალური ზრდის შესანიშნავი შესაძლებლობებია და იმედი მაქვს, სწორედ ამ გუნდთან ერთად მოვიპოვებ მსოფლიო ჩემპიონობას."

ინგლისელი პილოტის ექვსსეზონიან კარიერაში ყველაზე წარმატებული 2004 წელი გახდა — ათჯერ შედგა პოდიუმზე და საერთო მესამე ადგილი დაიკავა მიხაელ შუმახერისა და რუბენს ბარიკელოს შემდეგ.

შარშანდელი უხეირო, მეცხრე ადგილის მიუხედავად, ჯენსონი იმედიანად იყო, რადგან „ჰონდამ" BAR-ისგან საჯინიბოს აქციათა დანარჩენი ნაწილი გამოისყიდა და უზარმაზარი თანხაც დააბანდა საკუთარი სახელის გუნდის ტექნიკური პროგრესისთვის.

მართლაც, ახალი ბოლიდი „ჰონდა RA 106" რვაცილინდრიანი მძლავრი ძრავით შესანიშნავი, ადვილად სამართავი და საიმედო ჩანდა. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ გუნდი, რომელიც ბაჰრეინში პირველ ეტაპზე გაემგზავრა იმაში დარწმუნებული, რომ წლეულს სატიტულოდ გაიბრძოლებდა, ისევ საშუალო ძალისა აღმოჩნდა, სადღეისოდ კონსტრუქტორთა თასზე მეოთხე საფეხურზეა და საეჭვოა, წინ წაწევა შეძლოს. თუმც ექვს აგვისტოს საჯინიბოს ისტორიაში პირველი გამარჯვება ჰონდელებისთვის, ცხადია, ოპტიმიზმის დამბრუნებელი მალამო გახდა.

„ჰუნგარორინგსაც" მივადექით. ბატონმა ბრძოლა ძალიან უკან, მე-14 პოზიციიდან დაიწყო, მაგრამ ბრწყინვალედ გათვლილ-შესრულებული ტაქტიკის წყალობით, თავის 113-ე რბოლაში ბოლოს და ბოლოს შეძლო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე შედგომა.

ჯენსმა უნგრეთის დედაქალაქის ნაწვიმარ ტრასაზე დიდებულად იქროლა, უკვე მეორე წრის ბოლოს ხუთ მეტოქეს გაასწრო, მალე კიდევ სამს, ხოლო მეშვიდე წრეზე თვით მიხაელ შუმახერსაც ოსტატურად აუარა გვერდი. შუა რბოლისას ბატონი ლიდერ ალონსოსაც წამოეწია და რამდენჯერმე შეუტია კიდეც. ძნელი სათქმელია, როგორ დასრულდებოდა ეს დუელი, ესპანელი ჩემპიონისთვის „რენოს" რომ არ ეღალატა.

ასეა თუ ისე, ჯენსონმა დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა და ბუნებრივია, სიხარულით მეცხრეცაზე იყო: „ეს მთელი გუნდის ფანტასტიკური მუშაობის ფანტასტიკური შედეგია. სველ ტრასაზე მე-14 პოზიციიდან დაიწყო რბოლა და მაინც შეძლო პირველად დიდი პრიზის მოგება — ამაზე გასაოცარი რა უნდა იყოს. დასკვნითი ათი წრე არაჩვეულებრივი იყო, მე ყველაზე წინ ვიყავი და არ მინდოდა, რომ რბოლა დამთავრებულიყო. ეს ჩვენი პირველი და, დარწმუნებული ვარ, არა უკანასკნელი წარმატებაა."

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, შოტლანდიელი ჯეკი სტიუარტი ბატონს საგვირგვინო მომავალს უწინასწარმეტყველებს:

„ყველაფერი შეიცვალა, რუბიკონი გადალახულია და პირველი გამარჯვების შემდეგ ჯენსონს ცხოვრებაში ახალი მიზანი ექნება. არა მგონია, მან მომდევნო დიდი პრიზი მოიგოს, მაგრამ აქ საქმე მასში კი არა, მანქანაშია, სამაგიეროდ, უკვე აღარავინ იტყვის, რომ ბატონს გამარჯვება არ ძალუძს. არადა, ეს შეიძლება დიდ კოპლექსში გადაზრდილიყო. ამიერიდან მას უკვე სხვა, უფრო მაღალი გეგმა აქვს და ერთხელ იქნებ მართლაც გახდეს მსოფლიოს ჩემპიონი. დარწმუნებული ვარ, რომ უნგრეთში მისი კარიერა თავიდან დაიწყო."

გია ახალაძე

მოგების ყველაზე მეტხანს ლოდინი

რბ.	მრბოლი	ქვეყანა	ეტაპი
123	რუბენს ბარიკელო	ბრაზილია	გერმანია — 2000
117	იარნო ტრული	იტალია	მონაკო — 2004
113	ჯენსონ ბატონი	დ. ბრიტანეთი	უნგრეთი — 2006
110	ჯანკარლო ფიზიკელა	იტალია	ბრაზილია — 2003
96	მიკა ჰაკინენი	ფინეთი	ევროპა — 1997
95	ტიერი ბუტსენი	ბელგია	კანადა — 1989
91	ჟან ალეზი	საფრანგეთი	კანადა — 1995

მბუალენი მულაუძე

ჯარგი გვარიშვილი ჩქარი ფეხებით

მონტე კარლოში ააფ-ის სუპერ გრან პრის სერიის მორიგი ტურნირი ჩატარდა და, მართალია, რეკორდებამდე საქმე არ მისულა, რამდენიმე აღსანიშნავი შედეგი იქნა ნაჩვენები.

პირველ რიგში, რუსი სიმაღლეზე მხტომელი ანდრეი სილნოვი უნდა ვახსენოთ. მოგეხსენებათ, ახლახან გიოტებორგში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე რუსებმა უამრავი ოქრო მოიპოვეს, მაგრამ, როდესაც რუსებს ვამბოთ, რუს ქალებს ვგულისხმობით, თორემ იმ უამრავი ოქროდან კაცების ანგარიშზე ერთი კინკილა ოქრო იყო და ის, სწორედ სილნოვმა მოიპოვა.

გიოტებორგში ამ 21 წლის ბიჭმა 236 სმ სიმაღლე დაძლია და მონტე კარლოში კი მეტი შეძლო — 237 სანტიმეტრზე გავლებულ თამასას გადაევლო. სუპერდიდოსტატურ, 241 სანტიმეტრიან სიმაღლეს სილნოვმა ვერც გიოტებორგში და ვერც მონტე კარლოში ვერაფერი მოუხერხა, მაგრამ ისეთი ბიჭი ჩანს, ადრე თუ გვიან, ამასაც შეძლებს, მით უმეტეს, რომ გულში მსოფლიო რეკორდის დამხობა ჰქონია, რეკორდისა, რომელიც აგერ, უკვე 13 წელია, ხელუხლებლად დგას — 245 სანტიმეტრს უდრის და კუბელ ხავიერ სოტომაიორს ეკუთვნის.

მორიგი ლამაზი გამარჯვება მოიპოვა ქალთა შორის 100 მეტრზე თარჯრბენში სეზონის ლიდერმა, ამერიკელმა მიშელ პერიმ, რომელმაც ეს თარჯებიანი ასი მეტრი ქურციკის სიმარდით 12,60 წამში დაფარა.

ასევე ამერიკელის, ტიფანი როსუილიამსის გამარჯვებით დასრულდა უფრო გრძელი, 400 მეტრზე თარჯრბენი. ერთი წრის ხტუნვასირბილით ჩასკუპსკუპებას ტიფანიმ 53,79 წამი მოანდომა და კარგა გვარიანად — 0,33 წამით აჯობა ფავორიტად მიჩნეულ რუს ტატიანა ტერეშჩუკ-ანტიპოვას.

მოულოდნელი შედეგით დასრულდა მეჭოკე ქალების შეჯიბრიც. აქ ფავორიტად პოლონელი მონიკა პირეკი ითვლებოდა, ვისაც წლეულს, მართალია, ერთხელ, მაგრამ თვით ელენა ისინბაევასთვისაც კი უჯობნია, მაგრამ ამ ჯერზე პირეკი თავად დამარცხდა — 461 სანტიმეტრი სიმაღლე დაძლია და მთელი ხუთი სანტიმეტრით ჩამორჩა გამარჯვებულს, ბრაზილიელ ფაბიანა მურერს.

მბუალენი მულაუძე

სენსაციური გამოდგა კაცთა 110 მეტრზე თარჯრბენიც — ყველათვის უცნობმა კუბელმა, 19 წლის დაირონ რაბლესმა 13,14 წამში დაფარა ეს დისტანცია და შორს ჩამოიტოვა მდევრები.

ბოლო დღეებია, სირბილის იშტაზეა მოსული 800 მეტრის სამხრეთაფრიკელი სპეციალისტი მბულაენი მულაუძი. ამ ლამაზად მეღერი გვარ-სახელის მქონე კაცმა ორ წრეზე სირბილში შაბათს ციურიხის „ოქროს ლიგის" ეტაპზე აჯობა ყველას და იქიდან ეგრევე მონტე კარლოში ჩასულმა, კაზინოების ქალაქშიც ივარგა — თავისი გასარბენი წუთსა და 44,14 წამში გაირბინა და კენიელ უილიამ ირამპოის 17 მეასედი წამით აჯობა.

სამაგიეროდ, კენიელმა 1500 მეტრზე სირბილში იპოვა — ალეკს კიპჩირჩირმა ეს დისტანცია 3 წუთსა და 32,08 წამში დაფარა და თითქმის წამით გაასწრო მეორე ადგილზე გასულ მარიოელ მოჰამედ მუსტაუის.

მხტომელებით დაწყებული ამბავი მხტომელებითვე დავასრულოთ — კაცთა სამხტომში ბადალი არ ჰყავდა რუმინელ მარიან ოპრეას. ამ ოპრეამ კენგურუსავით ისკუპა, სამ ნახტომში 17,33 მეტრი დაფარა და 15 სანტიმეტრით აჯობა კუბელ იოანდრი ბეტანზოსს.

გია მუჯირი

მიშელ პერი

AFP

ჯერ მოიგეს, მერე გადაცვივდნენ

ოთხკაცა მეკანოე ჩეხნი: პეტრ პროხაზკა, პეტრ ფუსკა, ირჟი ჰელერი და იან ბრეშკა ეს-ესაა, გადაცვივდნენ წყალში 200-მეტრიანი დისტანციის გაცურვის მერე. მთავარი კი ის არის, რომ ეს ოთხეული, სანამ აყირავდებოდა, პირველი მივიდა ფინიშთან და მატიერის ტბაზე, უნგრულ სეგედში, მსოფლიო ჩემპიონიც შეიქნა.

AFP

მრთი წამის სანახაოზა

როტერდამის ხიდზე ჩამომსხდარმა ხალხმა წამით შეავლო თვალი მათ წინ ჩაქროლილ კრისტიან ალბერსის ბოლიდს. ეს, რა თქმა უნდა, ფორმულა ერთი არ არის, უფრო დაბალი კლასის ბოლიდთა აღლუმია.



AFP

ანა სამშობლოსთვის

რუსი ანა ჩიჩეროვა 190 სანტიმეტრზე გადებულ თამასას გადაახტა და მეორე ადგილზე გავიდა ჩრდილოური ერების ათლეტთა ტურნირზე. შეჯიბრი ბირმინგემში ტარდება, ქულებს კი გუნდურად ითვლიან. რუსები 349 ქულით საუკეთესონი არიან.

თასი საფლავზე

*საფრანგეთის რაგბის კავშირის ბოსი ბერნარ
[illegible] და ქალაქ რაგბის მერი ტინა ევისი უილიამ უებ ელისის საფლავზე ასულან და მსოფლიო თასიც აუტანიათ. ელისი, გავიხსენოთ, არის კაცი, ვინც ხელში აიღო ფეხბურთის ბურთი და მოიგონა ოვალური თამაში, მის საფლავზე თასის დასვენება კი მიგვანიშნებს, რომ გაისად რაგბის მსოფლიო თასი საფრანგეთში ჩატარდება.*

AFP

წყალზე მოჯირითე

წყალზე სიარული სულაც არ არის სასწაული, თუკი საგანგებო დაფაზე დგახარ. ეს ტალღაზე მოჯირითე ავსტრალიელი მაიკლ კემბელი გახლავთ, ვინაც მოიგო კიდევ ფრანგულ რივიერაზე მოწყობილი ტურნირი.

AFP

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი ბიორგი ოძრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავაროქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაშა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ბიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge